სამშობლო

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

№ 1 (133) გამოცემის მე-14 წელი • 1970 წლის 12 იანვარი

სიახლეთა პანორამა

გმირი დედები

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით „გმირი დედის“ საპატიო წოდება მიენიჭათ მცხეთელ ეკატერინე ბუთხუზს, ოჩამჩირელ ნაზო ღურწკაიას, ჩხოროწყუელ მედიკო წურწუმიასა და სამტრედიელ ლუბა ჩხაიძეს. გმირმა დედებმა შობეს და აღზარდეს ათ-ათი შვილი.

უსმენენ ქართველ პროფესორს

საბჭოთა კავშირისა და ერაყის კულტურული თანამშრომლობის გეგმის შესაბამისად, თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი კონსტანტინე წერეთელი ბაღდადში კითხულობს ლექციებს საბჭოთა ლინგვისტიკის, აღმოსავლეთმცოდნეობის დარგის გამოკვლევებისა და საქართველოსა და ერაყის ისტორიული ურთიერთობის შესახებ.

პირველი ლექცია ქართველმა პროფესორმა წაუკითხა ბაღდადის უნივერსიტეტის მასწავლებლებსა და სტუდენტებს.

ყველგან იცნობენ

სასიხარულო ცნობა მოვიდა საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტ „ავტომატმრეწვში“. სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მთავარმა კომიტეტმა ინსტიტუტის მუშაკები პირველი ხარისხის დიპლომით დააჯილდოვა.

მსოფლიო გამოფენაზე „ავტომატიზაცია 69“, რომელიც მოსკოვში გაიმართა, ინსტიტუტმა 4 ნამუშევარი წარადგინა. ისინი ეხება მეტალურგიულ და ქიმიურ-ტექნოლოგიურ პროცესებში ახალი ავტომატური სისტემების მუშაობასა და დანერგვას.

ეს ახალი სიტყვა ტექნიკაში უკვე დაინერგა საბჭოთა კავშირის მეტალურგიულ ქარხნებსა და ქიმიურ კომბინატებში. მისი დანერგვა გადაწყვეტილი აქვთ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში.

ინგირიდან მაროკოში

ქართულ ჩაიზე, რომელსაც ინგირის ჩაის ფაბრიკა უშვებს, დიდი მოთხოვნილებაა არა მარტო საბჭოთა კავშირის სამრეწველო ქალაქებში, არამედ შორეულ მაროკოშიც. ამას წინათ ინგირიდან მაროკოში გაიგზავნა 55 ტონა უმაღლესი, პირველი და მეორე ხარისხის ჩაი.

სიახლეთა პანორამა

„სამშობლოს“—ფოტო 70



გონდო დადვაძის ფოტო



„სამშობლოს“ ფოტო 70

მარტო ბაკურიანში არ ენატრებათ თოვლი

საიუბილეო კონკურსის შედეგები

ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 100 და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავის აღსანიშნავად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტმა და საქართველოს მწერალთა კავშირმა გამოაცხადეს კონკურსი საუკეთესო ნაწარმოებებზე (პროზასა და პოეზიაში). ამავე დიადი თარიღების აღსანიშნავად საქართველოს მწერალთა კავშირმა და კულტურის სამინისტრომ გამოაცხადეს კონკურსი საუკეთესო დრამატულ ნაწარმოებებზე. შეიქმნა ორი ჟიური — გიორგი ნატროშვილისა (პოეზია და პროზა) და ბესარიონ ჟღენტის (დრამატურგია) თავმჯდომარეობით. ამჟამად საკონკურსოდ წარმოდგენილი მასალები განხილული და შეფასებულია.

აი კონკურსის შედეგები:

პროზისა და პოეზიის სფეროში პირველი პრემია არავის მიენიჭებია.

მეორე პრემიები — თითოეული 2.500 მანეთის რაოდენობით მიენიჭათ რევაზ ჯაფარიძეს — რომანისათვის „ვნების ცირა“ (პირველი ნაწილი) და ნოდარ დუმბაძეს რომანისათვის „ნუ გეშინია, დედა“.

მესამე პრემიები — თითოეული 2.000 მანეთის რაოდენობით მიეკუთვნათ ედიშერ ყიფიანს — რომანისათვის „მაღლა ასროლილი ქუდები“ და თენგიზ გოგოლაძეს რომანისათვის „ჟამი ჩვენი“.

მეორე პრემიები — თითოეული 1.500 მანეთის რაოდენობით მიენიჭათ კარლო კალაძეს პოემისათვის „ფიქრები“ და ოთარ ჭილაძეს პოემისათვის „ამირანმთა“. ხოლო მესამე პრემიები — თითოეული 1.000 მანეთის რაოდენობით — შოთა ნიშნიანიძეს პოემისათვის „აქილევსის ქუსლი და ფარი“ (პირველი ნაწილი) და ლადო სულაბერიძეს პოემისათვის „შემოდგომის დღის ქრონიკა ლენინგრადში“.

პირველი პრემიები არც დრამატურგიის სფეროში გაცემულა.

მეორე პრემია — 2.000 მანეთის რაოდენობით მიენიჭა ვალერიან კანდელაკს პიესისათვის „დრო-24 საათი“, ხოლო მესამე პრემიები — თითოეული 1.500 მანეთის რაოდენობით — თამაზ ჭილაძეს პიესისათვის „მკვლელობა“ და აკაკი გეწაძეს — პიესისათვის „პაემანი ცაში“

წამახალისებელი ჯილდო — 1.000 მანეთი მიეკუთვნა რაფიელ მამულაშვილს პიესისათვის „უღელი“.

იხარე და იბედნიერე!

ქუთაისში გაიხსნა თბილისის საოპერო თეატრის ფილიალი

საახალწლოდ ქართველმა ხალხმა შესანიშნავი საჩუქარი მიიღო. გაიხსნა ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის ქუთაისის ფილიალი. სიხარული და ზეიმი, რომელიც ქუთაისს ეწვია, მოულოდნელი არ იყო. მას წინ უძღოდა მრავალ ადამიანთა შრომა და მონდომება ჩვენი ეროვნული კულტურის ახალი კერის — ოპერის მეორე თეატრის დაბადებისათვის.

...ქალაქი სადღესასწაულოდ მოირთო. თუმცა ცამ პირი მოხსნა, რომ იტყვიან, ისე ჩაავდარდა.

წვიმას პოეტები ხშირად ცრემლს ადარებენ. თუკი ასეა, ეს სიხარულის ცრემლი იყო, რადგან ხალხის განწყობილება უღრუბლოს, ლარიანსა და მზიანს ჰგავდა.

ოპერის გახსნას წინ კიდევ ერთი სასიამოვნო და ღირსშესანიშნავი მოვლენა უძღოდა — ზ. ფალიაშვილის ძეგლის საფუძვლის ჩაყრა.

ნაშუადღევს, საოპერო თეატრის წინ, ქუთაისის ერთ-ერთ უმშვენიერეს ადგილზე, ბაღში შეიკრიბნენ საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოსული სტუმრები, მადლიერი ქუთაისელები.

საზეიმო ცერემონიალი. სიტყვით გამოდიან საქართველოში ცნობილი, სახელოვანი ადამიანები — რეჟისორები, მუსიკოსები, კომპოზიტორები, საზოგადო მოღვაწენი.

გრანიტის ქვას საბურველი მოხსნეს. ქვაზე ოქროსფრად ამოტვიფრულია: „აქ დაიდგმება ზაქარია ფალიაშვილის ძეგლი“. ამ ლაკონიურ წარწერას განმარტება არ სჭირდება. [illegible] „[illegible]“ —

საოპერო თეატრის გახსნა ქუთაისში [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] ტრადიციებითა.

აქ, ამ ქალაქში დაიბადა და გაიზარდა ქართული მუსიკალური კულტურის მრავალი შესანიშნავი წარმომადგენელი. მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. საკმარისია ერთი — ზაქარია ფალიაშვილის უკვდავი სახელი.

ქუთაისის [illegible] [illegible] [illegible] [illegible] ქართული [illegible] [illegible] [illegible] წარმტაცი, [illegible] ბაღი აწარა.

ქართული ეროვნული სიმღერა-გალობა თავისი სიუხვითა და მრავალფეროვნებით იმდენად მდიდარია, შესაძლოა ახალი ხანა შექმნას მუსიკის ხელოვნებაშიო, ამბობდა ზაქარია ფალიაშვილი. დღის ქართული მუსიკის ბევრი გამარჯვების საწინდრად სწორედ ხალხის მდიდარი სასიმღერო მემკვიდრეობა გვევლინება.

ხალამოხანს ხალხი თეატრისკენ დაიძრა. ამ შენობაში დაარსა დიდმა რეჟისორმა კოტე მარჯანიშვილმა თეატრი რომელიც დღეს თბილისში მის სახელს ატარებს. აქ, ამ თეატრის სცენაზე ბევრმა ქართველმა მსახიობმა აიდგა ფეხი და მიიღო თეატრალური ნათლობა. ამ კედლებში დაბადებულ ქართულ თეატრალურ დასს ჯადოქარმა რეჟისორმა ღონიერი ფრთები შეასხა და მას დღესაც იგივე ფესვები ასაზრდოებს. იქნებ სიმბოლურიც იყოს ეს ამბავი. იქნებ ქუთაისის საოპერო თეატრის ფილიალიც ასევე ფესვმაგარი გამოდგეს, იქნებ უმცროსი ძმა თბილისის ოპერისა სულ მალე მხარგაშლილი და დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მომზადებული ვნახოთ!

ქუთაისელთა ზეიმი მთელმა ქართველმა ხალხმა გაიზიარა. ახალი თეატრის დაბადებამ — ჩვილმა პირმშომ — სხვადასხვაგვარი ფიქრები მოგვგვარა. როგორი იქნება მისი ცხოვრება: ია-ვარდით ფენილი თუ ეკალ-ბარდიანი?!

თეატრის შენობამ სახე იცვალა.

მოკლე დროში ქუთაისელმა მშენებლებმა იგი გადააკეთეს და განაახლეს. განახლდა და ახალი მექანიკური ამწე-მანქანებით დამონტაჟდა სცენა. ფოიე, ინტერიერი ახლებურად გამოიყურება, კეთილმოწყობილი გახდა კულისები, სათავსები, მსახიობთა ოთახები, სარეპეტიციო დარბაზი.

...პრემიერა დაიწყო.

ჟღერს „აბესალომ და ეთერის“ დიდებული უვერტიურა.

სპექტაკლში მთავარი პარტიის — აბესალომის შემსრულებლად ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ზურაბ ანჯაფარიძე, რომელიც პრემიერის შემდეგ გასტროლებზე პარიზს მიფრინავს.


ოპერაში ვიხილეთ და მოვისმინეთ საქართველოს საოპერო ხელოვნების საუკეთესო წარმომადგენლები. საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი პეტრე ამირანაშვილი, საქართველოს სახალხო არტისტები მედეა ამირანაშვილი და ნათელა ტუღუში, დამსახურებული არტისტი გივი ტორონჯაძე და სხვები.

მაყურებელსა და შემსრულებლებს ერთნაირი, საზეიმო განწყობილება ეუფლებათ. ოპერას დიდი წარმატება ხვდა. ბევრი არია, დუეტი და სცენა მეორდება. ხალხი აღტაცებით ეგებება პირველ საოპერო სპექტაკლს ქუთაისის ისტორიაში.

ოპერა მთავრდება და დიდხანს ქუხს ტაში რომელიც მთელ იმ დიდ, ეროვნულ მოვლენას ეძღვნება.

ძნელია ორი სიტყვით გამოხატო ის სიხარული, რომელიც დღეს გვეუფლება ჩვენ, ქართული მუსიკის ოჯახის წევრებს, ყველას, ვისთვისაც ძვირფასია ეროვნული კულტურა, ქართველი ერის წარმატებები, ამბობს საქართველოს სახალხო არტისტი, კომპოზიტორი რევაზ ლაღიძე. ახალი თეატრის მიმართ წარმოთქმულ ამ გულწრფელ სიტყვებს გვსურს ჩვენი სურვილები და მილოცვა დავუმატოთ — კეთილი იყოს შენი დაბადება, კეთილი იყოს შენი მოსვლა. იხარე და იბედნიერე, ხელოვნების მადლით შენს საყვარელ ხალხს გულუხვად გაუმასპინძლდი.

ზურაბ რცხილაძე



პალერმო — თბილისი

მეგობრობისათვის საჭიროა უკეთ ვიცნობდეთ ერთმანეთს. ეს აზრი ლეიტმოტივად გასდევდა სიცილიის ქალაქ პალერმოს მუნიციპალიტეტის დელეგაციასთან შეხვედრას, რომელიც 6 იანვარს გაიმართა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომში. დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში არიან პალერმოს მერი სპანიოლო ფრანჩესკო, ტურიზმის სამმართველოს პრეზიდენტი ბევილაკუა პასლო, სიცილიის ოლქის ტურიზმის, სპორტისა და სანახაობათა ასესორი ნატელი სალვატორე, კომუნალური მრჩეველი ვიცინი ჯოაკინო და იტალია-სსრ კავშირის საზოგადოების სიცილიის განყოფილების პრეზიდენტი კოლაიანი პომპეო, 5 იანვარს საღამოს ჩამოვიდა საქართველოს დედაქალაქში.

იტალიელ სტუმრებს მიესალმა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე შოთა ბუხრაშვილი, რომელმაც ხაზი გაუსვა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს პირადი კონტაქტების დამყარებას.

შოთა ბუხრაშვილმა გამოთქვა რწმენა, რომ დელეგაციის ჩამოსვლა დასაბამს მისცემს თბილისსა და პალერმოს შორის მეგობრულ კავშირურთიერთობას.

პალერმოს მერმა სპანიოლო ფრანჩესკომ წაიკითხა მუნიციპალიტეტის წერილი თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარისადმი. ჩვენ არ დაგვვიწყებია, ნათქვამია წერილში, რომ ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ თბილისმა გამოიჩინა დიდი სიყვარული, როცა შეიფარა ბავშვები — 1968 წლის ზაფხულში სიცილიაში მომხდარი მიწისძვრის მსხვერპლნი.

მართალი მოგახსენოთ, ისინი თქვენთან, ამ შორეულ მხარეში, მოდიოდნენ რამდენადმე შეშინებული და გაკვირვებული. მაგრამ აქ მოიხიბლნენ თქვენი ქალაქით, ძლიერი და გაბედული ხალხით. ასეთ რამეს არ ივიწყებენ. ამიტომ სიცილია და პალერმო დღეს ათასხუთასწლოვან ძველ ქალაქს დიდ მადლობას უძღვნის ამ მასპინძლობისათვის, ზრუნვისა და სიყვარულისათვის.

სპანიოლო ფრანჩესკომ დასასრულ განაცხადა, რომ თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომში შეხვედრა მოწმობს, რომ ჩვენს ქალაქებს შეუძლიათ განავითარონ და განამტკიცონ მეგობრობა. ნება მიბოძეთ მადლობისა და ჩვენი ხალხების მეგობრობის ნიშნად თბილისს ვუძღვნა მედალი, რომელზეც გამოსახულია ჩვენი პალერმოს სიმბოლო — არწივი.

მერმა სთხოვა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს თავისი დელეგაცია გაგზავნოს პალერმოში. ამ მიწვევას მადლობით დაეთანხმნენ. გათვალისწინებულია, რომ თბილისის წარმომადგენლები სიცილიაში გაემგზავრებიან თებერვალში, როცა იქ მოეწყობა საბჭოთა კავშირის კვირეული. დელეგაციასთან ერთად გაემგზავრებიან ქართული ხელოვნების ოსტატები, მხატვრული თვითმოქმედების ერთ-ერთი კოლექტივი.

6 იანვარს მთელ დღეს პალერმოელი სტუმრები თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილის იური ჟურულიძის თანხლებით ეცნობოდნენ რესპუბლიკის დედაქალაქს.

(საქინფორმი).



ჩვენი ნაძვისხეო

კიბეზე ასულს ნორჩები მომეგებნენ — თამარი და მარიამი, ნინო და ქეთევანი, გიორგი და დავითი, თორნიკე და ცოტნე — ჩვენი თოვლის პაპა არსად შეგხვედრიაო? ხელი ჩამჭიდეს, დიდ ნათელ ოთახში შემიყვანეს და თოვლის პაპის მოლოდინში ულურტულით გამართეს. რა არ მითხრეს, რა არ მიჩვენეს. საძინებელი და სასადილო ოთახები, დიდი, ღია აივნები, სადაც ზაფხულობით იძინებენ, პაწაწინა კარადები და ათასნაირი სათამაშოები. შემდეგ საკუთარ შემოქმედებასაც გამაცნეს, ნახატებს, ალალი გულით ნაფიქრსა და ნააზრევს. ამასობაში დროც გაილია და პატარები დარბაზისაკენ გამიძღვნენ, სადაც ცისარტყელას შვიდფრად ელავდა ბრჭყვიალა სათამაშოებით აკინძული კენარი ნაძვისხე.

შემოცუნცულდნენ ბაჭიები და მელიები, დათუნიები და ფიფქიები, თვალხატულა გოგო-ბიჭები და მხიარული ფერხული გააჩაღეს. გამოჩნდა თოვლის პაპაც. ჯადოსნური ჯოხი ეპყრა ხელში, ჯადოსნური სარკითა და ხელთათმანებით ათასნაირი უცნაური თამაშობა უჩვენა პატარებს. ნორჩებმა დაუარეს კურდღლების საახალწლო ცეკვა, იტრიალეს ნაძვისხის გარშემო, დაიჭირეს ჭრელი პეპელა...

დიდხანს, დიდხანს ისმოდა პატარების მხიარული კისკისი თბილისის ლენინის სახელობის რაიონის 113-ე საბავშვო ბაღში (გამგე ლუბა ინჯგია). ზეიმის დასასრულს თოვლის პაპამ საჩუქრებით სავსე ხურჯინს თავი მოხსნა და კუდრაჭებს ნუგბარი ხილითა და ტკბილეულით გაუმასპინძლდა.

ნაზი ლორთქიფანიძე

როგორ ხვდებოდნენ ძველად ახალ წელიწადს

„ახალ წელიწადს მეტად ცხადად და აშკარად გამოითქმის და გამოიხატება ხოლმე ხალხის გულისთქმა და მისი ზნე-ჩვეულება, მისი საეროვნო ვითარება და ვინაობა. ამ მხრით ჩვენი ახალი წელიწადი მეტად საგულისხმიერო დღესასწაულია“... — ასე წერდა გასული საუკუნის 90-იან წლებში ცნობილი ქართველი ეთნოგრაფი ნიკო ხიზანაშვილი (ურბნელი).

გამოჩენილ გეოგრაფსა და ისტორიკოსს ვახუშტი ბატონიშვილს ასე აქვს აღწერილი საქართველოს სამეფო კარის საახალწლო წესი:

„რამეთუ ახალ წელს, ერთს იანვარს, უწინარეს ცისკრის ლოცვისა, უკულევდა მეფეს ჭყონდიდელი ჯვარსა და ხატსა, და სამკაულსა მეფესა და დედოფალსა, და სანუკვარსა შაქრისასა“...

ხელისუფლებსა (ბაზიერთუხუცესი, მეჯინიბეთუხუცესი, მწიგნობართუხუცესი და სხვ.) და დიდებულებს შესაფერი საჩუქრები უნდა მიელოცა მეფისათვის, ხოლო ერისთავებს — ჯაგლაგა ცხენები. იცოდნენ ისრის მილოცვა, რომლითაც შეაჩვენებდნენ მეფის ორგულებს: „მრავალჟამიერ ყოს ღმერთმან მეფობა თქვენი მრავალს წელს, და ისარი ესე გულსა შინა განერთხოს მეფობისა თქვენისა ორგულსა“-ო. მილოცვის შემდეგ იწყებოდა ნადიმობა, „პურობა დიდი განცხრომითა და სახიობითა“.

ერისთავთა მიერ მოყვანილ ჯაგლაგა ცხენებს ხოცავდნენ და ტოვებდნენ შემოღობილ ადგილას, რომელიც ღამით მხეცებით ივსებოდა. გათენებისას ამ მხეცებზე ნადირობდა მეფე.

ქართველი ხალხის საახალწლო ადათ-წესებს სპეციალური გამოკვლევა უძღვნა სერგი მაკალათიამ, გასული საუკუნის პრესაშიც („ივერია“, „დროება“, „კვალი“, „კავკაზი“ და სხვა) საკმაო ცნობებია ამ ადათ-წესების შესახებ.

საახალწლოდ სამეგრელოში მიღებული იყო ჩიჩილაკების დამზადება. „ჩიჩილაკი არის თხილის ჯოხიდამ შემდგარი ნათალი ფუჩეჩი ჩამოკიდებული. იმაზედვე ჩიჩილაკს სიგრძე ექმნება ორი საჟენი და სიმსხო ერთი არშინი“ (გაზეთი „დროება“, 1869 წელი, 2 იანვარი). ოჯახის უხუცესი მამაკაცი ჩიჩილაკითა და ღომის მარცვლებით მიადგებოდა სახლს, მარცვლებს მოაყრიდა ეზოში, სახლში, საქათმეში. პირველ დღეს აწყობდნენ ადამიანის მოტაცების ინსცენირებას, მეორე დღეს კი იყო ფერხობა („კუჩხა“).

დიდად პოპულარული იყო ჩიჩილაკების მოწყობა გურიაში. მეკვლე (ოჯახის უფროსი მამაკაცი) ჩიჩილაკით ხელში გათენებისას სამჯერ დააკაკუნებდა კარებზე. მასპინძლის კითხვაზე, რა მოგაქვსო, ჩამოთვლიდა სანატრელ საგნებს: „...კაცთა მშვიდობა, ოქრო და ვერცხლი, თვალი და მარგალიტი, პური და ღვინო, ბედაური ცხენი რახტით შეკაზმული, ყირიმის თოფი, ინგლისის ფისტო (დამბაჩა), მოჭედილი სატევარი (ხანჯარი) და ყაჭ-აბრეშუმი“ (გაზეთი „დროება“, 1869 წლის 2 იანვარი). ეს ცერემონია სამჯერ მეორდებოდა.

გურიაში ძველად კერაზე დიდ ცეცხლს ანთებდნენ, რომელსაც ხტებოდნენ ოჯახის წევრები.

საახალწლო ჩიჩილაკები იცოდნენ აგრეთვე იმერეთსა და რაჭაში. ჩიჩილაკებს რთავდნენ ხილით, ტკბილეულით, ვერცხლის ფულებით. ახალი წლის ღამეს იმერეთში თავ-ქვეშ ამოიდებდნენ შაქრის ნატეხს. რაჭაში „უცხო კაცს ამ დღეს სახლში არ შეიყვანენ. თუ ვინმე უცხო კაცი სტუმრად მივიდა, არ უნდა დაიძახოს, არამედ კარები დააბრახუნოს“.

საახალწლოდ დიდი გამოცოცხლება იყო ქართლ-კახეთში. აცხობდნენ ბედის კვერებს — ორ-ორს ოჯახის წევრებისათვის, თითოს კი საქონლისათვის. ქართლში საახალწლო ხონჩას ეძახდნენ „აბრამიანს“, რომელზედაც აწყობდნენ ღორის თავს, ბედის კვერებს, თაფლიანი პურის ნაჭრებს...

მესხეთ-ჯავახეთში ოჯახიდან განათხოვრებულ ნივთებს იბრუნებდნენ, რათა ბარაქა მეზობლის ოჯახში არ დარჩენილიყო.

საახალწლოდ აჭარელი თავქვეშ მჭადის ნატეხს ამოიდებდა, რომელიც დილით ადრე უნდა შეეჭამა, მამლის ყივილამდე.

სვანეთში ახალ წელიწადს („ზომხა“) ოჯახის მეკვლეებს მდინარიდან წყალი მოჰქონდათ. შემდეგ კი „გარე მეკვლე“ ესტუმრებოდა ოჯახს, სამჯერ იტყოდა, „საქონლისა და კაცის სიცოცხლე და სიკეთე“ მომაქვსო. მონადირეები მეორე დღეს ნიშანს დგამდნენ და იმის მიხედვით, თუ როგორ დააზიანებდნენ, მომავალზე წინასწარმეტყველებდნენ.

ხევსურეთში აცხობდნენ იმდენ პურის კვერს, რამდენი წევრიც იყო ოჯახში. გამოცხობისას ვისი კვერიც ამოიწეოდა, ასე სწამდათ, ბედნიერი იქნებაო. ოჯახში წყლის დაღვრა არ შეიძლებოდა, რათა რძის დაღვრა არ დაჰბედებოდათ.

ახალ წელიწადს ფშაველი ახალი ტანისამოსით ეგებებოდა. აქაც აცხობდნენ ბედის კვერებს. ოჯახის უფროსს სახლში ძაღლი შეჰყავდა და ამბობდა: ფეხი შენი, კვალი ანგელოზისაო.

თუშეთში ერთი გვარი ერთად იკრიბებოდა, თან მიჰქონდათ პური, ლუდი, არაყი და მართავდნენ ლხინს.

სულიკო ნუცუბიძე

...ის თოვლს ითხოვდა

ქალაქ პრიჯუმსკის (სტავროპოლის მხარე) ავტოშემკეთებელი ქარხნის ახალგაზრდა მძღოლებმა ანატოლ ლისინმა და ვიქტორ კუზნეცოვმა საქართველოს მელიორაციის სამინისტროსათვის რამდენიმე დღის წინათ ორი ავტოსახელოსნო მანქანა ჩამოიყვანეს თბილისში. ქალაქში ისინი შუადამისას შემოვიდნენ, და, რადგან უკვე გვიან იყო, გადწყვიტეს მანქანები დანიშნულებისამებრ სამინისტროს სამშენებლო ობიექტზე მიეყვანათ და ღამეც იქვე გაეთიათ.

— თავს რატომ იწუხებთ, მეგობრებო, — უთხრა სტუმრებს სამშენებლო უბნის დარაჯმა, — სასტუმრო აქვეა. მიბრძანდით, ვებიერად დაისვენეთ.

— არა გვიშავს, კაბინაშიაც კარგად მოვეწყობით. თუ შეგვცივა, ძრავას ჩავრთავთ, — უპასუხეს ახალგაზრდებმა.

...დილის 7 საათზე ვიქტორ კუზნეცოვი მანქანის ყრუ გუგუნმა გამოაღვიძა. ანატოლს ჩემზე ადრე გაუღვიძია, გაიფიქრა და ამხანაგის მანქანას გადახედა. ძრავა მუშაობდა, ანატოლი კი არსად ჩანდა.

— ანატოლ! — გასძახა ვიქტორმა. პასუხი რომ ვერ მიიღო, მანქანას მიუახლოვდა, კაბინის კარი გამოაღო და ცხვირში გადაუმუშავებელი ბენზინის სუნი ეცა. ანატოლი გაუნძრევლად იწვა.

— გაიღვიძე, ბიჭო, — შეანჯღრია ვიქტორმა ამხანაგი, — ძრავა ჩართული დაგრჩენია.

ამაოდ. ვიქტორმა კაბინაში შუქი აანთო და გამეშდა: სავარძელზე ანატოლ ლისინის ყინულივით ცივი და ნახშირივით შავი უსულო სხეული ესვენა.

...ქალაქის მეორე საავადმყოფოს ექიმებმა დაასკვნეს, გარდაცვლილიაო.

ვიქტორი ფოსტისაკენ წალასლასდა. „ანატოლი გარდაიცვალა, ჩამოდითო", დეპეშით შეატყობინა ამხანაგის დედასა და მეუღლეს. ვიქტორი მიხვდა, რაც მოხდა: ანატოლის მანქანის მაუფრი გზაში რაღაცას წამოედო და პირით კაბინისაკენ შემობრუნდა. კვამლის ბოლქვებმა კაბინაში იწყეს დენა, დაღლილ ანატოლს დაძინების წინ ძრავის გამორთვა დავიწყდა,, ღრმად ჩაეძინა და ბენზინის მბუთავმა გაზმა გაგუდა...

— თქვენი ამხანაგი მესამე სართულზე გადაიყვანეს, — უთხრეს მორგში მისულ ვიქტორს.

— რატომ?....

...ანატოლის უმოძრაო სხეულს თავს დასდგომია საშუალო ტანის შუახნის კაცი. სათვალიდან მისი ჭიუტი მზერა გამოსჩვივის. სწრაფად მოძრაობენ ხელები. სწრაფად ეპასუხებიან მის ყოველ ბრძანებას მედიცინის დები: ხელოვნური სუნთქვა, ყანგბადი, ბალიშები. ნემსები. სულ ამაოდ...

— მკვდრის გაცოცხლება შეუძლებელია, — ჩურჩულებს ვიღაც.

— ჩუმად! — ამბობს ექიმი.

ისევ ხელოვნური სუნთქვა, ყანგბადი, ნემსები.

და აი... წამით ამოისუნთქა განწირულმა და კვლავ სასიკვდილოდ ჩაიფერფლა...

— ბატონო ილია, — ვიღაც ჩასძახის ექიმს, — თქვენც იტანჯებით და...

— სასწრაფოდ ქირურგს სთხოვეთ!

— პასუხის ნაცვლად ბრძანებს ექიმი.

ქირურგი თერაპევტს უსმენს.

— ყელის სასუნთქი ორგანო დაზიანებულია. ხორხის ქვეშით, ფილტვებში დაგროვილი გაზი უნდა ამოეშვათ. იქნებ ყანგბადის ათვისების უნარი აღვადგინოთ.

საქმეში დანა ერევა.

საყლაპავ მილსა და მკერდის ძვალს შორის შავმა, მღვრიე სისხლმა ამოჭეთქა, სისხლის ნაკადს ჰაერის ხშუილი მოჰყვა, სხეული ათრთოლდა, აძიგძიგდა, ამოძრავდა...

— იცოცხლებს ჩემი ძმობილი? — იკითხა ბავშვივით ატირებულმა ვიქტორმა.

— უნდა იცოცხლოს! — უპასუხებს თერაპევტული განყოფილების გამგე. ექიმი ილია ბაქრაძე და მთელ ღამეს ფეხზე დგომის შემდეგ მძიმედ ეშვება სავარძელში...

...ათმა დღემ განვლო მომბზარი ამბიდან. ანატოლს საავადმყოფოში ვესტუმრეთ. იგი თვალდახუჭული იწვა საწოლზე.

— ანატოლ, როგორ გრძნობ თავს? — ავადმყოფმა ხანდახან ხელი გამოიღო, ცერი მაღლა ასწია.

— გმადლობთ, ძალიან კარგად, — გვითხრა და გაიღიმა.

— სიკვდილის ასე აშკარად დამარცხება არასოდეს გვინახავს, — გვითხრეს საავადმყოფოში ექიმებმა თუ მედდებმა, ყველა თანაშრომელმა.

ანატოლის დედას ცრემლი წასკდა ჩვენთან საუბრისას.

— ჩე ღმერთი არა მწამს, შვილებო, — ამოხდა მას, — მაგრამ ახლა დავრწმუნდი, ღმერთები თვით ადამიანები ყოფილან. ექიმმა ილიამ სიკვდილს გამოსტაცა ჩემი შვილი. გთხოვთ გადასცეთ ყველა ქართველ ადამიანს, რომ მე გულის სიღრმემდე მოხიბლული ვარ ქართველთა უსაზღვრო გულისხმიერებით, სტუმართმოყვარეობით, ადამიანობით.

გაუმარჯოს სიცოცხლეს, რომელიც თავიდან იწყება!..

გაიოზ შავერზაშვილი

ადამიანი ყველაზე ძვირფასია



საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საკითხებზე ჩვენი კორესპონდენტის ლია მიქაძის თხოვნით პასუხს იძლევა საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი, პროფესორი ლევან საყვარელიძე.

● რამდენი იყო შარშან ასიგნებული საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისათვის და რამდენი მანეთით განისაზღვრება მისი რაოდენობა ამ წლისათვის?

— მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვაზე დიდძალი თანხა იხარჯება. შარშან ჩვენი რესპუბლიკისათვის გამოყოფილი იყო 160 მილიონი მანეთი. წელს, ვფიქრობთ, ეს თანხა 169.250 ათას მანეთამდე გაიზრდება.

● როგორ და რაში გაითვალისწინებენ ეს თანხები?

— მისი საგრძნობი ნაწილი იხარჯება საავადმყოფოებისა და პოლიკლინიკების ფართო ქსელის, სპეციალიზებული დისპანსერების (ონკოლოგიური, ტუბერკულოზის, ფიზკულტურული), სამშობიარო სახლების, სასწრაფო დახმარების, სისხლის გადასხმის სადგურების და სხვა სამედიცინო დაწესებულებების შენახვაზე.

● რამდენი ავადმყოფის მიღება შეუძლიათ ჩვენს რესპუბლიკაში არსებულ საავადმყოფოებს ერთდროულად?

— საქართველოს საავადმყოფოებს შეუძლიათ ერთდროულად მიიღონ 40 000-მდე ავადმყოფი, რომელთაც ჭირდებათ ხანგრძლივი მკურნალობა და ექიმის სადღეღამისო კონტროლი. პრაქტიკულად ეს ნიშნავს, რომ ყველა ვიზიტი სამედიცინო დახმარების მიღება შეუძლია ყველას, ვისაც ეს ესაჭიროება. ამის გარდა, ფართო პროფილაქტიკურ მუშაობას ეწევიან პოლიკლინიკები, ამბულატორიები, ხოლო ყველა დიდ სამრეწველო საწარმოში სამედიცინო-სანიტარული ნაწილები.

● რა სპეციალობის რამდენი ექიმი მუშაობს რესპუბლიკაში? რამდენი ექიმი მოდის ყოველ 10.000 მოსახლეზე? როგორია სამედიცინო კადრებით უზრუნველყოფა?

ჩვენს რესპუბლიკაში მუშაობს 33-ზე მეტი სპეციალობის 16.900 ექიმი, ათასობით ფერშალი და მედიცინის დ. ყოველ 10.000 მცხოვრებზე 36 ექიმი მოდის — უფრო მეტი, ვიდრე ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში, მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებშიც. მოკლედ, ექიმებისა და სამუალო სამედიცინო კადრების რიცხვით საქართველოს პირველი ადგილი უჭირავს მსოფლიოში.

● ჩვენს ქვეყანაში სამედიცინო დახმარება და მკურნალობა უფასოა. რას ნიშნავს ეს?

— ეს ნიშნავს, რომ ადამიანი, რომელიც ექიმს დახმარებისათვის მიმართავს, თავისი საკუთარი ჯიბიდან არც ერთ კაპიკს არ ხარჯავს, რაგინდ ძვირფასი და ეფექტიანიც იყოს ეს მკურნალობა. იწყება ეს ჩვეულებრივი ვიზიტი თერაპევტთან (ფასი სამი აბაზი), თუ გულის თანდაყოლილი მანკის ურთულესი ოპერაცია (იგი 1.000 მანეთზე მეტი ჯდება) — ყველა ხარჯს სახელმწიფო კისრულობს. ერთი მშობიარობა ჯდება 79 მანეთი — აქ არ იგულისხმება ის თანხა, რომელსაც ქალი თვეობით იღებს მშობიარობამდე და მშობიარობის შემდეგ სახელმწიფოსაგან დამტკიცების საბით. ტუბერკულოზით დაავადებული ავადმყოფის ყველა ხარჯსაც სახელმწიფო იხდის — მას უფასოდ მკურნალობენ საავადმყოფოში, აგრეთვე უფასოდ აძლევენ სანატორიუმის საკურორტებზე, რომელიც არის აბასთუმანი, გუდაურიში, ლიბანი და სხვა. საჭიროების შემთხვევაში ავადმყოფები ამ სანატორიუმებში თვეობით რჩებიან. აღსანიშნავია, რომ მთელი მკურნალობის პერიოდში მათ ენახებათ სამუშაო ადგილი და ეძლევათ ხელფასი.

● რას გვეტყვით დედაწა და ბავშვთა მომსახურებაზე?

— დედებსა და ბავშვებს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობათ. ნორჩები ჩვენი მომავალია და მათ ჯანმრთელობაზე, ფიზიკურ განვითარებაზე ზრუნავა ჯანდაცვის ორგანოების უპირველესი მოვალეობაა. ზრუნვა ბაიშვზე მის დაბადებამდე დიდი ხნით აღრე იწყება. პატარებისათვის ჩვენთან არის კარგად აღჭურვილი საავადმყოფოები და განყოფილებანი, პოლიკლინიკები, ამბულატორიები. რესპუბლიკაში გვაქვს სამშობიარო სახლების, ქალთა კონსულტაციების, საბავშვო საავადმყოფოების, ბაგების, ჩვილბავშვთა სახლების, სარძევე სამზარეულოების, სპეციალიზებული სანატორიუმების ფართო ქსელი.

რესპუბლიკაში 26 ბავშვთა სანატორიუმია, სადაც უფასოდ იკვლებენ და მკურნალობენ სხვადასხვა დაავადებით შეპყრობილი პატარები. სანატორიუმებთან არის სკოლები, რომლებშიც ასწავლიან ყველიფიციური პედაგოგები.

● სამედიცინო კადრების მომზადება სახელმწიფო ბიუჯეტის რა მუხლით არის ვათვალისწინებული — ჯანმრთელობის დაცვის ასიგნებიდან, თუ განათლების ხარჯებიდან?

— ჯანმრთელობის დაცვის ბიუჯეტში არ იანგარიშება ის თანხა, რომელიც იხარჯება სამედიცინო კადრების მომზადებაზე. იგი გათვალისწინებულია საბუღალტრო ბიუჯეტის სხვა მუხლით — განათლების ხარჯებში.

● რა თანხებიდან ხდება საავადმყოფო ფურცლის გაბაღდება შრომისუნარიანობის დროებითი დაკარგვის შემთხვევაში — ჯანმრთელობის დაცვაზე გაღებული თანხებიდან, თუ სოციალური დაზღვევის ფონდებიდან — პროფესიული კავშირს ბიუჯეტიდან?

— ჯანმრთელობის დაცვას „ემსახურება" პროფესიული კავშირების ბიუჯეტი — სოციალური დაზღვევის ფონდები. აქედან ხდება საავადმყოფო ფურცლის განაღდება. ამ თანხებით ინახავენ აგრეთვე მრავალრიცხოვან სანატორიუმს. კურორტს, აგარაკს, დასასვენებელ სახლს, პროფილაქტორიუმს, გამაჯანსაღებელ ბანაკსა და მრავალ სხვას.

● უოველწლიურად რა თანხა იხარჯება საქართველოში სამეცნიერო-კვლევით მუშაობაზე? ვინ აფინანსებს ამ სამუშაოებს?

— სამედიცინო-კვლევით სამუშაოებზე მედიცინის დარგში შარშან დაიხარჯა 5 003 000 მანეთი, 1970 წლის პრექმით გათვალისწინებულია 5.251 000 მანეთი. სამუშაოებს ფინანსირებას ჯანმრთელობის სამინისტროს მიერ სახელმწიფო ბიუჯეტით.

● ჩვენს ქვეყანაში მედიკამენტები უფასოა ან შეღავათიან ფასებში იყიდება. ზოგიერთი დავადებისას კი უსახყოდლოდ ეძლევათ ავადმყოფებს. რა კატეგორიის ავადმყოფები არიან ესენი?

— მაგალითად, საავადმყოფოს პაციენტები იღებენ ყველაფერს, თუნდაც ყველაზე ძვირადღირებულ წამალს უფასოდ. უფასოდ ეძლევათ აგრეთვე მოიკამინარში მრავალი დაავადებისას. მაგ შორის დიაბეტით ავადმყოფებს სიმსივნეებით. ჰორმონალური აშლილობით, რემატიზმით, მოკლედ, — 28 სხვადასხვა დაავადების დროს სახელმწიფო ფარავს ამ დროს თვე 1 წლამდე ასაკის ბავშვების წამლების ხარჯს.

● როგორია სამამულო ომის ინვალიდთა მომსახურების საკითხი?

— სამამულო ომის ინვალიდები და ზოგიერთი ჯგუფის პენსიონერები დიდი შეღავათით ისარგებლობენ. სამამულო ომის ინვალიდები უფასოდ იღებენ მსუბუქ მანქანებს, მოტოროლერებს, სანატორიუმის საგზურებს და ბევრ სხვა რამეს.

● ჩვენს ქვეყანაში ფართოდ არის გაშლილი სამედიცინო დაწესებულებათა მშენებლობა. რა გაკეთდა ამ ბოლო ხანს და რა გეგმებია დასახული უახლოესი 5 წლისათვის?

— უკანასკნელ ოთხ წელიწადში რესპუბლიკის მოსახლეობამ მიიღო 13 მსხვილი რაიონული მრავალპროფილიანი საავადმყოფო, ოთხი სამშობიარო სახლი, ამჟამად შენდება და უახლოეს პერიოდში დამთავრდება 7 რაიონული საავადმყოფო, თითოეული 250-500 საწოლით.

მომავალ ხუთწლედში ყველა მსხვილ სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო რაიონულ ცენტრში, ნაცვლად 100-120-საწოლიანი საავადმყოფოებისა, აშენდება 34 რაიონული და ქალაქის მრავალპროფილიანი საავადმყოფო 8.580 საწოლით. ამრიგად, მომავალი ხუთწლედის დამლევისათვის საქართველოს ყველა რაიონულ ცენტრში გვექნება თანამედროვე აპარატურით აღჭურვილი მრავალპროფილიანი რაიონული საავადმყოფო. თბილისში მიმდინარეობს 2300-საწოლიანი რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს, ონკოლოგიის, რადიოლოგიისა და სამედიცინო რენტგენოლოგიის 500-საწოლიანი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მშენებლობანი, იგება თერაპიისა და ჯარდიოლოგიის ინსტიტუტთა ლაბორატორიული კორპუსები.

თბილისში ამჟამად მშენებლობის პროცესშია სამი სამედიცინო ქალაქი, თითოეული 2.000-3.000 საწოლით.

● საქართველო კურორტების ქვეყნად ითვლება. თუ შეიძლება, რამდენიმე სიტყვა გვითხარით მათ პერსპექტიულ განვითარებაზე.

— ჩვენში აღრიცხულია სხვადასხვა ქიმიური შემადგენლობის 1.400 მინერალური წყარო, რომელთა დებიტი დღე-ღამეში 100 მილიონ ლიტრზე მეტია. მინერალური წყლები—ბორჯომი, წყალტუბო, მინჯი, საირმე თავიანთი სამკურნალო თვისებებით უნიკალურად ითვლებიან. ჩვენი საველნათმქმელიც კურორტები — ბორჯომი, გაგრა, წყალტუბო, ბიჭვინთა და სხვები კეთილმოწყობით არ ჩამოუვარდებიან მსოფლიოს ბევრ ცნობილ კურორტს. ამჟამად ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების ზრუნვის საგანია გაანუვითაროთ და შევუქმნათ საჭირო მატერიალური ბაზა ჯერ კიდევ ნაკლებად ცნობილ, ადგილობრივ კურორტებს, სადაც ეფექტური სამკურნალო საშუალებანი გვაქვს.

● როგორც თქვენი პასუხებიდან ჩანს, ჯანმრთელობის დაცვაზე ძალზე დიდი თანხები იხარჯება, როგორია კაპიტალის ასეთი დაბანდების ეფექტიანობა?


— დიახ, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვაზე ფრიად დიდია კაპიტალის ასეთი დაბანდების ეფექტურობა, საკმარისია დავასახელოთ ერთი ფაქტი: მოსახლეობის ცერთო სიკვდილიანობა სამამულო ომის შემდეგ ოთხჯერ შემცირდა, ბავშვთა სიკვდილიანობა კი — ათჯერ. პრაქტიკულად ლიკვიდირებულია ბევრი საშიში ინფექციური ავადმყოფობა — ყვავილი, მალარია, პოლიომიელიტი, დიფთერია და სხვ. ყოველწლიურად მკვეთრად კლებულობს ტუბერკულოზით დაავადებულთა რიცხვი. ყველა ამაზე შეიძლება ადამიანის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა რევოლუციამდელ დონესთან შედარებით ძალზე საგრძნობლად გაიზარდა, ახლა იგი 74 წელს აღწევს.

ადამიანი ჩვენს საზოგადოებაში ყველაზე ძვირფასია და იგ ეჭიმ-სწავლულთა ძირა მოითხოვს ახალ კაპიტალობანდებებს, ვაჭრთა საჩქარწყოო ამ საკრებსაც გაიღებს.

ინტერვიუ მინისტრთან

ერის წიგნები







ერის წიგნები, რომელთა მიმართ განსაკუთრებული გრძნობა გვაქვს. დროდადრო საოცრად მოგვინდება მათი ხელში აღება, გადაკითხვა. რაღაც უდიდეს სიხარულსა თუ მღელვარებას განგვაცდევინებს, უკვე განცდილს გაგვიახლებს და ხელახლა წაკითხვამდე დროებით დაგვამშვიდებს...

ჩემთვის ერთ-ერთი ასეთი წიგნია შოთა რუსთაველის პრემიის პირველი ლაურეატის, კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“, წიგნი, რომელიც უკვდავებად დარჩება ქართული მწერლობის ისტორიას. იგი არ არის ჩვეულებრივი რომანი ან მხოლოდ ისტორიული ბელეტრისტიკა. ეს არის ხელოვნების უდიდესი ძეგლი, აღსავსე შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის ღრმა ცოდნით, იმდროინდელი არქიტექტურის, სამშენებლო ტექნიკის, ხელოვნების ცოცხალი ჩვენებით, იშვიათი მიმზიდველობითა და მდიდარი პოეტური ფანტაზიით.

ცხადია, ნაწარმოები, რომელსაც ასეთი დიდი ადგილი უჭირავს ქართული ლიტერატურის ისტორიაში, რომლის მხატვრული მასშტაბი, ძარღვიანი ენა თითოეული ჩვენებანის სიყვარულის საგნად ქცეულა. ადვილი როდია ეკრანზე გაცოცხლებული წარმოიდგინო. ამიტომ ერთგვარი მღელვარებით შეხვდა ქართველი საზოგადოებრიობა „დიდოსტატის მარჯვენის“ კინოს ენით ამეტყველების ცნობას.

ფილმი ორსერიანი იქნება. პირველი სერია უკვე მზად არის, გადაღებულია ბევრი სცენა მეორე სერიისათვის. მაგრამ მაინც ნაადრევად მიგვაჩნია ფილმის ავკარგიანობაზე საუბარი. დღეს მხოლოდ ორი მთავარი გმირის — გიორგი მეფისა და კონსტანტინე არსაკიძის შემსრულებლებს, რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტებს ოთარ მეღვინეთუხუცესსა და თენგიზ არჩვაძეს გავაცნობთ.

მაგრამ ჯერ მოვუსმინოთ თვით ნაწარმოების ავტორს კონსტანტინე გამსახურდიას:

— ბაღდობიდანვე მიყვარდა და მაოცებდა აფხაზთა მეფე გიორგი პირველი. სიჭაბუკეში მომემატა პატივისცემა მისდამი, როცა გავიგე, თუ რამოდენა ვეშაპს შეზმია ეს შესანიშნავი რაინდი... თუ რა კოლოსალური ძალის მატარებელი ყოფილა იმჟამინდელი საქართველოს მეფე გიორგი პირველი, რომელმაც ერთხელ, მაგრამ მაინც დაამარცხა კეისარი ბიზანტიისა და ამ უბადლო ვაჟკაცს, რომელსაც მემატიანე უწოდებს „უშიშოს, ვითარცა უხორცოს“, ქართულ ქრონიკებში მხოლოდ ორიოდე გვერდი აქვს მიძღვნილი.

მე შემძრა ამ უსამართლობამ და ამ მიჩქმალული გმირის აპოლოგიას ვუძღვენი დიდი მღუღარება ჩემი სულისა...

სიტყვას ვაძლევთ გიორგი მეფეს — ოთარ მეღვინეთუხუცესს:

— როცა როლზე ვმუშაობ კინოში, უმთავრესად ერთი რამ მაფიქრებს — სახე სქემატური არ გამომივიდეს. ეს საშიშროება ხშირად სცენარის სქემატურობით არის გაპირობებული. ნაწარმოებში გიორგი მეფის სახე იმდენად სისხლსავსეა, ცოცხალი, საინტერესო, რომ, თავისი უარყოფითი მხარეების მიუხედავად, მკითხველის დიდ სიმპათიასა და სიყვარულს იმსახურებს, სახელმწიფოს მეთაურის მთავარი ღირსებაა ყველაფერი სახელმწიფოს ინტერესებს დაუმორჩილოს. ნაწარმოების პირველ ნაწილში სწორედ ამით გვხიბლავს გიორგი მეფე. იგი ძლიერი, მთლიანი პიროვნებაა. მეორე ნაწილში კი ჩნდება ყველაზე პირადული, რაც სძლევს მოვალეობის გრძნობას, რაც, რა თქმა უნდა, ჩრდილს აყენებს მის პიროვნებას, მაგრამ სწორედ ამიტომ, ჩემი აზრით, იგი უფრო მრავალმხრივი, მიწიერი, ადამიანური და ამდენად ერთგვარად გასაგები და ახლობელიც ხდება ჩემთვის. მისი ქცევის, მისი სულიერი ტკივილების ბოლო აკორდია სიკვდილის წინ წარმოთქმული სიტყვები: „მე მრავალი ცოდვა მიმიძღვის ამქვეყნად, როგორც მეფეს, ისე როგორც კაცს, თითქმის ყველა ღირსება და ყველა ნაკლი ჩემი ხალხისა მიტარებია. ვაჟკაციც ვიყავი და მშიშარაც, კეისარს ვებრძოდი, მეშინოდა ხვიარის ფესვებისა. გულზვიადიც ვიყავი და ლოთიც, მაგრამ ჩემი ხალხისათვის არასოდეს მიღალატნია“...

ცხადია, შეუძლებელია სცენარმა და სურათმა მთელი ნაწარმოები მოიცვას. ბუნებრივია, გასაგებია ჩემი შიშიც — რამე არ დავაკლო სახეს, ცალმხრივი არ გამომივიდეს. მით უმეტეს, რომ

ღირდი ეჯუღპარებაკ სეღრისაკ...

სცენარში მეტად, ვიდრე ნაწარმოებში, არსაკიძე და გიორგი მეფე დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. არსაკიძე წმინდაა, ნათელია. ამიტომ, რაც მას უპირისპირდება, ჩრდილი უნდა იყოს. გიორგის აქვს ნათელიც და ჩრდილიც. მე მეშინია, ჩემს გიორგიში ჩრდილმა არ გადასძლიოს...

კარგად მესმის, რა დიდი პასუხისმგებლობა მაკისრია: ერის საგანძურიდან ასეთი დიდი ტვირთი მანდეს. ჩემი არტისტული ცხოვრების საკმაოდ დიდი მონაკვეთი, თითქმის ორი წელიწადი — ამ როლზე იხარჯება...

კონსტანტინე არსაკიძე — თენგიზ არჩვაძე:

— ოცი წლის ასაკში რომ შემოეთავაზებინათ ჩემთვის ეს როლი, ალბათ, სულ სხვა განცდა მექნებოდა ახლა შეიძლება ადამიანში ისეთი თვისება დავინახო, წინ წამოვწიო, რასაც ადრე ვერც კი შევნიშნავდი, ზოგი რამ კი, რაც თითქოს თვალშისაცემია, უკანა პლანზე გადავწიო. თუ სახე ცალმხრივია, სისხლსავსე, მრავალმხრივი და ყოველისმომცველი გავხადო. ოცი წლისას, ალბათ მეგონებოდა, რომ არსაკიძე ძალზე ახლობელი და გასაგებია ჩემთვის. ახლა კი, სიმართლე გითხრათ, ბევრი რამ მაფიქრებს... როგორ მოვიქცე — ვითამაშო დიდი შემოქმედი, ხელოვანი, არქიტექტორი? ვითამაშო ნახევრად კაცი, ნახევრად ღმერთი? ცხადია, ეს ძალზე ძნელია და მე არც შემეძლო და არც სურვილი მქონდა ასე გამეხსნა სახე. რაში იყო არსაკიძის სიდიდე — ღმერთს შეებრძოლა და მასზე მაღლა დადგა? არა, მისი სიდიდე ის იყო, რომ მან საქმისათვის უარი თქვა ყველაფერზე, უარი თქვა თვით სიყვარულზე. გავიხსენოთ არსაკიძის ბოლო წუთები:

— „ბოლოს მოაწია რიჟრაჟმა, ატყდა ნათლის ლიცლიცი გარეთ, ყაყაჩოები დაათოვა მწვერვალებს ცამ. იფრქვეოდა იისფერი შუქი, როგორც ჩქერალები ფხოვის მთებიდან.

შორენა ჩამოვიდა კედლიდან, ხატაური ფარჩის კაბა ეცვა შავი, ოქროსფერი თმები გადმოღვრილიყვნენ მხრებზე, მოდიოდა ყაყაჩოების ველზე, თავთუხის თაველებს ესროდა უტას, ყაყაჩოებსა და თავთუხის თაველებს.

დაუჩოქა სამეზის სანატრელმა, სთხოვა დიდოსტატს სული.

ცრემლმა იწვიმა კონსტანტინეს თვალთაგან, მაგრამ ვერც საყვარელს მისცა მან სული, რადგან სვეტიცხოველისათვის შეეწირა იგი“.

ეს დიდი შემოქმედი უპირველესად კაცი იყო, ადამიანი. როგორ უყურებდა იგი სამყაროს, როგორ აღიქვამდა მოვლენებს, რა დამოკიდებულება ჰქონდა ფაქტებთან — აი ეს არის ჩემთვის მთავარი. მისი დიდებულება მისმა ცხოვრებისეულმა ამბებმა, მისმა საქმემ უნდა გამოაჩინოს. აი სწორედ ასეთი მინდა იყოს ჩემი არსაკიძე...

ჩვენს მკითხველებს, ალბათ, აინტერესებთ ფილმის შემოქმედებითი ჯგუფი: სცენარი შექმნეს კონსტანტინე გამსახურდიამ და რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ვახტანგ ტაბლიაშვილმა. დამდგმელი რეჟისორები არიან ვახტანგ ტაბლიაშვილი და დევი აბაშიძე. ოპერატორია გიორგი ჭილაძე, მხატვრები — კახი ხუციშვილი და შოთა გოგოლაშვილი. კოსტიუმები შეიქმნა მამია მალაზონიას ესკიზების მიხედვით, კომპოზიტორია არჩილ კერესელიძე.

ფილმში იღებენ მსახიობებს: ფარსმანი — სსრ კავშირის სახალხო არტისტი აკაკი ვასაძე, კათალიკოსი — სსრ კავშირის სახალხო არტისტი ვასო გოძიაშვილი, შორენა — ლალი ბადურაშვილი, ვარდისახარი — რესპუბლიკის სახალხო არტისტი ლეილა აბაშიძე, გირშელი — დამსახურებული არტისტი გოგი გელოვანი, ზვიადი — ჯუანშერ ჯორხაძე.

ფილმის მეორე სერია წლეულს, შემოდგომისათვის იქნება მზად.

ლია ჩიქოვანი

სურათებზე: კადრები ფილმიდან „დიდოსტატის მარჯვენა“ 1. გიორგი მეფე — ოთარ მეღვინეთუხუცესი, 2. ოთარ მეღვინეთუხუცესი და კათალიკოსი — ვასო გოძიაშვილი, 3. შუაში — კონსტანტინე არსაკიძე — თენგიზ არჩვაძე.



სურათზე: ვიტორიო დე სიკა და გიორგი მდივანი

მზესუმზირა

ომმა ყველა ოცნება დაუმსხვრია. ახალჯვარდაწერილ ქმართან გაყარა — ანტონიოს ალმოსაღელეთის ფრონტზე უკრეს თავი, საიდანაც აღარ დაბრუნებულა...

ჯოვანას არა სჯერა საყვარელი ადამიანის სიკვდილი. ჩამოდის საბჭოთა კავშირში და დიდი წვალების შემდეგ პოულობს ანტონიოს, მაგრამ...

ფრონტზე მოყინული ანტონიო რუს ქალიშვილ მაშას გადაურჩენია და ახლა ისინი ბედნიერად ცხოვრობენ, ჰყავთ ბავშვები. ასოწარკვეთილი ჯოვანა ბრუნდება იტალიაში, სიამაყის გამო სიმართლეს ვერ ამბობს და ყველას არწმუნებს, ანტონიო მართლაც დაიღუპაო.

მერე ანტონიო ტურისტული საგზურით ჩადის იტალიაში. ჯოვანას უკვე ჰყავს ქმარ-შვილი, მაგრამ კვლავინდებურად უყვარს ანტონიო. ამის მიუხედავად, ქალი სულიერ სიმტკიცეს იჩენს, თავის პირველ სიყვარულს აიძულებს დაუბრუნდეს ქალს, რომელმაც სიცოცხლე და შვილები აჩუქა.

ასეთი სიუჟეტი აქვს ვიტორიო დე სიკას ახალ ფილმ „მზესუმზირას“, რომელიც პრესის მუშაკებს „ბოსფილმის“ ერთ-ერთ პატარა დარბაზში გვიჩვენეს. საჭირო ახსნა-განმარტებებს იძლეოდა ცნობილი დრამატურგი გიორგი მდივანი. იგი ჩეზარე ძავატინისთან და ტონიო გუარასთან ერთად არის ფილმის სცენარის თანაავტორი. „მზესუმზირა“ საინტერესოა იმითაც, რომ მასში მონაწილეობენ პოპულარული კინომსახიობები სოფი ლორენი (ჯოვანა), ლუდმილა საველიევა (მაშა), მარჩელო მასტროიანი (ანტონიო).

გიორგი მდივნის „დაბერა“ მოსკოვში არც ისე ადვილი საქმეა, მით უმეტეს, რომ ახლახან დაბრუნდა იტალიიდან და უკვე საფრანგეთში გასამგზავრებლად ემზადება თავის ახალ სცენართან დაკავშირებით. ამის მიუხედავად, პატივცემულმა გიორგიმ საუბრისათვის მაინც დამითმო ერთი წუთისაათალწლიო საღამო.

● პატივცემულო გიორგი, რა მიზნით ჩახვედით რომში, ვის უეხვედით იქ და, საერთოდ, კმაყოფილი ხართ თუ არა იტალიელ კოლეგებთან თქვენი საქმიანი ურთიერთობით?

რომში ჩავედი იმისათვის, რომ მენახა ფილმის დამონტაჟებული ვარიანტი, სწორედ ის ეთი, თქვენ რომ იხილეთ. როგორც შეამჩნიეთ, ამ ვარიანტში გამოტოვებულია მხოლოდ ანტონიოს მოყინვის ეპიზოდები. როგორც კი მოსკოვში რუსული ზამთარი დადგება, დე სიკასა და მარჩელო მასტროიანს ისევ მოუხდებათ ჩამოსვლა. რაც შეეხება სოფი ლორენს, მისი როლი მთლიანად გადაღებულია.

რომში თან მახლდნენ ფილმში მონაწილე საბჭოთა მსახიობები, რომლებმაც გაახმოვანეს თავიანთი როლები.

სასიამოვნო იყო ჩემი ძველი რეჟისორის რომოლო მარჩელინის ნახვა. სწორედ მან გადაიღო ფილმი „რუსეთი იტალიელის თვალით“, რომლის სცენარის ერთ-ერთი ავტორი მე გახლდით.

● პატივცემულო გიორგი, ვიცი, რომ თქვენ ბურვილისათვის წერთ სცენარს, ხომ ვერ გვეტყოდით ორიოდე სიტყვით, როგორა გაქვთ ფილმი მოფიქრებული და ვინ იქნება მისი დამდგმელი რეჟისორი?

ფილმს დადგამს რეჟისორი ალექსი ჟოფე, მთავარ როლში კი ვიხილავთ სახელგანთქმულ ბურვილს. ფილმში მოთხრობილი იქნება ფრანგი ტაქსის მძღოლის ანდრეს ამბავი. სიუჟეტური მონახაზი ასეთია: საფრანგეთში გამოცხადდება კონკურსი თემაზე — „ვინ რა იცის საბჭოთა კავშირზე“? კონკურსში ანდრე ორ საგზურს მოიპოვებს საბჭოთა კავშირში სამოგზაუროდ. საქმე ის არის, რომ ანდრეს კონკურსის კითხვებზე პასუხის გაცემაში ეხმარება მისი უახლოესი მეგობარი, ძველი რუსი ემიგრანტი, რომელიც ჯერ კიდევ რევოლუციანდელ მოხვდა და დარჩა საფრანგეთში.

ანდრეს ცუდლე არა ჰყავს, ასე რომ, ემიგრანტს მისცემს მეორე საგზურს და იწყება მათი თავგადასავლებით აღსავსე მოგზაურობა საბჭოთა კავშირში. რამდენიმე სცენა საქართველოშიც უნდა გადავიღოთ, კერძოდ, შავი ზღვის სანაპიროზე.

● ჟურნალ „ოქტომბრის“ მეათე ნომერში გამოქვეყნდა თქვენი სცენარი „მარადიულობის მოციქულები“, რომელიც ოქტომბრის რევოლუციის დროს ერმიბაჭის დაცვის უკეთილშობილეს საქმეს ეხება. სცენარის ნაწყვეტი გაზეთმა „ლიტერატურულმა საქართველომაც“ გადმოგვეზდა. საინტერესოა, ვინ იღებს ამ სცენარს და როდის ვიხილავთ ფილმს?

ფილმს იღებს კინოსტუდია „მოსფილმის“ რეჟისორი გულფოვიჩი. ამჟამად ვეძებთ მთავარი როლის შემსრულებლებს. ფილმი მაისში გამოვა ეკრანებზე.

● თეატრი, პატივცემულო გიორგი?

თეატრთან, რა თქმა უნდა, არასდროს ვწყვეტ კავშირს, ამჟამად ვწერ პიესას, რომლის პირობითი სათაურია „დიდედა“. იგი საბჭოთა ადამიანის სულიერ სამყაროზე მოგვითხრობს.

საუბრის დასასრულ გიორგი მდივანმა ეს საახალწლო მოლოცვა გამოგვატანა გაზეთ „საბჭოთა ხელოვნების“ მკითხველებისათვის:

იშვიათად შეხვდებით უცხოეთში ქართველ კაცს, რომელმაც დიდი სიყვარულით არ დაგიწყოთ საუბარი ჩვენს სამშობლოზე. მას ყველაფერი აინტერესებს: როგორ შენდება თბილისი, ქუთაისი, სოხუმი, ჭიათურა, როგორ უვლიან და იცავენ ჩვენს ძველ ტაძრებსა და ციხე-ქალაქებს, როგორ ცხოვრობს ხალხი ჩვენს რესპუბლიკაში, როგორ გარდაიქმნა თანამედროვე ქართული სოფელი და მრავალი სხვა. ზოგ ამ ქართველს არც კი უნახავს, რა ლამაზია ჩვენი საქართველო, ის უცხოეთში დაიბადა და აღიზარდა, მაგრამ ქართული ენა კარგად იცის და საქართველოს თავის სამშობლოდ თვლის.

სულითა და გულით ვულოცავ ახალ წელიწადს გაზეთ „სამშობლოს“ მკითხველებს.

გიორგი მდივანი

● საუბარი ჩაიწერა ჩვენმა სპეციალურმა კორესპონდენტმა გიორგი დოლიძემ.

ვაჟა-ფშაველა

შვლის ნუკრის ნაამბობი

ვაჟაჟა ვარ, ობოლი. ბედმა დამიბრიყვა: ცუდ დროს დავობლდი. ტანზე მაცვია პატარა, მოკლებეწვიანი, თეთრის თვლებით მოწინწკლული თხელი ქათიბი. ჯერ რქები და კბილები არ ამომსვლია, ჩლიქებიც არ გამმაგრებია.

გზადაკარგული დავდივარ. აი, დახედეთ ჩემს სისხლიანს ფეხსა, — ეს, წყლის დასალევად რომ ჩავედი ხევში, მაშინ ვიტკინე... გული მიწუხს... გული... საბრალო დედაჩემი! მანამ დედა მყვანდა ცოცხალი, სულ ალერსში ვყვანდი: ძუძუს მაწოვებდა, მიალერსებდა, მაფრთხილებდა. რაღა მეშველება მე საბრალოს ეხლა! ძუძუს აღარ ვწოვ. მხოლოდ ბალახის ნამსა ვსუტავ დილით და საღამოთი, როდესაც ნამია, და რძის ნდომას იმით ვიკლავ. უპატრონო რომ ვარ, სულ მეშინია, ვკანკალებ, მუდამ დღე სიკვდილს ველი, გზაარეული დავეხეტები... ღმერთო, რამდენი მტერი გვყავს!

წეღან ველის პირად გავედი დაღონებული... იქით-აქეთ თვალს ვავლებდი. უცებ ჩემს თავზე ჭექა გაისმა. ავიხედე მაღლა: მხრეშეკუმშული, ნისკარტდაღებული, უზარმაზარი ლეგა ფრინველი მოდიოდა პირდაპირ ჩემკენ. მე, შეშინებული, ტყეში გადავხტი. წამოვიდა ის წყეული ფრინველი, ტანი ველარ შეიმაგრა და ჩემს ნადგომ ადგილას დაეცა. ჟრუანტელი მივლის, როდესაც იმისი მოკაკული ნისკარტი და ალმასივით ბრჭყალები მაგონდება. პირდაპირ მოვიდა და, იქ რომ არ დავხვდი, ბალახებზედა და მაყვლოვანზედ მხრებით ტყლაშუნი გაადინა. მიავლ-მოავლო საზარელი ყვითელი თვალები, ეწყინა ჩემი გაქცევა, აიწია, ძლივს განთავისუფლდა, კინაღამ მაყვლებში ჩაება. მე ერთს ხეს ვეფარე და იქიდამ გულის ფანცქალით ცალის თვალით გავყურებდი.

გენაცვალე, ტყეო! შენ ბევრს მშველი, თორემ აქამდის ჩემის ქათიბის ბეწვიც არ იქნებოდა! გული მეუბნება, მტრის მსხვერპლად გავხდები. ჯერ მე გამოუცდელი ვარ, მხოლოდ ერთი კვირა ვიყავი დედასთან. ის მასწავლიდა, ვინ იყო ჩემი მტერი და ვინ მოკეთე. ეხლა კინღა მასწავლის? სულ შამბში ვწვები, ვიმალები, მუმლისა და კოღოებისაგან მოსვენება აღარა მაქვს. დედასთან კარგად ვცხოვრობდი, თავისუფლად ვკუნთქავდი...

მე და დედაჩემი, აგერ ტყიანი სერი რომ წამოწოლილა და აქეთ-იქით ხეები ჩაუდის, იქ ვცხოვრობდით. მუდამ დაჩრდილულნი გაბურულის ტყით; უხვედრი იყო ჩვენი ბინა. დედაჩემი დაწვებოდა ხოლმე გორაკზე, მე გვერდით მოვუწვებოდი. სამივე მხრიდან ხეები გვეფარა, — მეოთხეს თითონ გაიყურებოდა. ხანდახან ყურებს დაცქვეტდა, მე შევყურებდი და ვბაძავდი იმის ქცევას, ჩემს პატარა ყურებსაც ავცქვეტავდი. სამჯერ უჩვეულებრიო ხმაურობა შემოგვესმა: ის არა ჰგვანდა არც წყლის ჩქრიალს, რომელიც მუდამ მესმის, არც შაშვის ფაჩუნს, არც კოდალას რაკუნს, არც კიდევ ხმელის ხის წვეროდან ჩამოვარდნილ ტოტის რახუნს და არც ნიავისაგან გაშრიალებულ ფოთლების ხმას... ეს შევნიშნე მე: რაწამს ამ უცხო ხმას გაიგონებდა დედაჩემი, ზე წამოვარდებოდა და მეტყოდა: „შვილო! მომყე, მე მომყეო!..“ გაიქცეოდა და მეც მივხტოდი, რაც ძალი და ღონე მქონდა; არც ვიცოდი და არც მესმოდა, თუ ვის უფრთხოდა. ეხლა კი ვიცი... ოჰ, რამდენი მტერი გვყავს! ოჰ, ადამიანო!... რატომ არ გებრალები მე, პატარა? რატომ არ მაძლევ თავისუფლებას, რომ გულდასვენებულმა თავისუფლად ვიარო, ვთელო ლამაზი მწვანე ბალახი, გადავდგე სერზე და დავსტკბე საღამოს ნიავის სიოთი?!

ვერ გავცილებივარ ტყეს. თუ გავედი ველად, უნდა ტყის პირს არ მოვსცილდე, — მაშინაც ნახევარი სიცოცხლე მაკლდება! სულ აქეთ-იქით უნდა ვიყურო, ვეფარო ხეებს, კლდეებს, ბალახებსა და კანკალით ვჭამო საჭმელი, შიშისაგან ზეზეურად უნდა დავდნე!.. რას გიშავებ, ადამიანო, მითხარი, რას? რა დაგიშავა საბრალო დედაჩემმა, რა შეგისვა, რა შეგიჭამა, რომ მოჰკალი და უპატრონოდ დამაგდე, დამაობლე?! ოჰ, ადამიანებო! თქვენს ხერხსა და ღონეზე ხართ დაიმედებულნი და ჩვენი ჯავრი არა გაქვსთ... არა ჰგრძნობთ; რომ ჩვენც გვიყვარს თავისუფლება, არა ჰგრძნობთ თქვენის შეუბრალებელის გულით, რომ ჩვენც გვიყვარს სიცოცხლე, ბუნება: ფოთლის შრიალი, წყლის ჩქრიალი, რომელსაც სულგანაბული ეგრე ხშირად ყურს ვუგდებ ხოლმე, ბალახის ბიბინი და ტყის ცხოველებთან ერთად ნავარდობა... შენ კი, ოჰ, ადამიანო!.. თვალებდასისხლიანებული, გაფაციცებული დამეძებ მე და ჩემს ფერს სუსტსა და უპატრონოს ათას სხვას... იარაღი გაქვს, მოგვეპარები, მუხთლად გვკრავ ტყვიას და გამოგვასალმებ წუთისოფელს...

როგორ არ უნდა მეშინოდეს?... ჯერ სულ ერთი კვირაა, რაც მე წუთისოფელს ვხედავ, და რამდენი შიში და ვაება გამოვიარე! გუშინწინ წვიმიანი დღე იყო. სიცოცხლითა და სიმშვენიერით აღსავსე დედაჩემი წიფლის გვერდზედ იდგა და გემრიელად იცოხნებოდა... მეც გვერდით ვუდექი, მიხაროდა დედასთან დგომა, მტერი და სიკვდილი არც კი მაგონდებოდა დედის იმედით. ხშირის ფოთლებიდამ წვიმის ნამი კამკამით ჩამოდიოდა... მე თავს ვუშვერდი, რომ სასიამოვნო წვეთებს გავეგრილებინე.

— არ გიამა, შვილო? — მკითხავდა დედა.

მე თავს ვუქნევდი და ვხტოდი, ხან ძუძუებში ვბურჩნიდი.

ჩვენ წინ ერთ ხმელ ხეს გარშემო კოდალა ევლებოდა და ისე მაგრა უკაკუნებდა, რომ მიკვირდა, — დედაჩემი ამოდენაა და არ შეუძლიან ეგრე ტყის გახმაურება, როგორც ამ პატარა ჩიტს-მეთქი! უვლიდა გარშემო ხეს ფეხების ფხაკუნითა და ხან ერთსა და ხან მეორე ადგილას ჩაჰკრავდა ნისკარტს... კოდალას ცელქობას მე სიხარულით შევყურებდი; უცებ „ჩხი!“ „ჩხი!“ მომესმა. მოვიხედე გვერდზე: თავზე ერთი ჩხიკვი გვევლებოდა. „თავი მომაფარეო, — მითხრა დედაჩემმა: — თორემ ჩხიკვი თვალებს დაგთხრისო!..“ მე თავი მოვაფარე. დედაჩემი იგერიებდა თავით იმ საძაგელს. ჩხიკვი ჩემკენ იწევდა; ბევრი იცოდვილა, მერე დაგვანება თავი, თავმოკატუნებული წიფლის ტოტზე შესკუპდა და მოჰყვა კნავილს. იმისი ხმა სწორედ ჩემს ხმასა ჰგავდა, დედას გაეცინა და მითხრა:

— დიდი ეშმაკი რამეა, შვილო, ეგ ჩხიკვი, გაუფრთხილდი!.. შენისთანა პატარა ნუკრებს ძლიერ ემტერება, შვილო... კრუსუნსა და კნავილს მოჰყვება და ახლომახლო რომ შენისთანა ბრიყვი და გამოუცდელი ნუკრი შეხვდეს, ბანს მისცემს, გადაეძრახნება. მაგასაც ის უნდა: მიახტება და თვალებს გამოსჩიჩქნის!..

მე ტანში ჟრუანტელმა დამიარა...

— ხმასაც არ გავცემ, დავემალები მაშინათვე!

— ჰო, ეგრე, ეგრე, შვილო! მანამ დედა ცოცხალი გყავს, ნუ შევეშინდება; როცა მე აღარ გეყოლები, მაშინ სიფრთხილე გმართებს!

ოჰ, რამდენი გამოცდილება მაკლია ჯერ კიდევ მე, საცოდავსა!..

ერთხელ ძლიერ დაცხა. დედაჩემი საწოლიდან ადგა და მითხრა, წყალზე წავიდეთო. წავედით, დავყევით წვრილიანს სერს, ჩავიარეთ შამბზე და ჩავედით ხევში. ხევი ღრმა იყო, მზის სხივები ვერ ჩასწვდომოდა, აქეთ-იქით ნაპირებზე ხეები ერთმანეთზე გადაკვანძულიყო წვერებით. ხის ძირებზე, იქვე ხევის პირად, ჟოლის ფეხები იყო ამოსული, წითლად თავი დაეხარათ და გადმოჰყურებდნენ წყლის დენას. ცივი, ანკარა ხევი მოჩუხჩუხებდა გალიპულს ქვებზე, ერთის კლდიდამ მეორეზე გადადიოდა და გუბდებოდა. დედაჩემი მივიდა და ჩადგა შიგ გუბეში, მე ძლივს დავდიოდი ქვებზე, ჩლიქები მტკიოდა.

— მოდი, შვილო, ჩადექ წყალში, საამურია სიცხეში წყალში დგომა.

მე მივედი და კრძალვით ჩავსდგი ჯერ ერთი ფეხი; წყალი საშინლად ცივი იყო და გადმოვხტი ისევ უკან.

— ცივია,არ შემიძლია დგომა.

— არაფერი გიშავს, უნდა ეხლავე შეეჩვიო, შვილო!

ცოტახანი დავდექი წყალში და მერე გამოვბრუნდით უკან. ჩვენს ზევით ნაკაფიანებში ხმაურობა ისმოდა.


— ეგ საშიში ხალხი არ არის, — მითხრა დედამ: — ერთი დედაკაცი და პატარა ბალღია. ჩვენი მტერი ეგრე არა ყვირის, ჩვენ მაინც სიფრთხილე გვმართებს: ესე წვრილიანზე ავიაროთ, ველის პირად ნუ გამოვჩნდებით, ნუ დავენახვებით.

დედაჩემი წინ წავიდა. მე გულმა არ მომითმინა და გავხედე; ტანი დავმალე, მხოლოდ თავი გამოვაჩინე. ამ დროს ქვევიდამ ხმა მომესმა: „ვაი, ვაი, დედილო, მგელი, დედილოჯან, მგელი!“

— ნუ გეშინიან, შვილო, გენაცვალე. აბა სად არის, დამანახვეო?— ჰკითხავდა დედა.

— აგერ, ყურები არ გადმოუცქვეტია, ადამიანო, ტყიდამ!—თვალცრემლიანი უჩვენებდა ბავშვი თითით ჩემზე.

— უი, შენ კი გენაცვალოს დედა, მგელი კი არ არის, შვლის ნუკრია, შვილო! ქა, რა ლამაზია!



ბონდო დადვაძის ფოტო

— დავიჭიროთ, შენი ჭირიმე, — ეუბნებოდა პატარა დედას და თან მოუთმენლად ემზადებოდა ჩემკენ გამოსაქცევად.

— არა, გენაცვალოს დედა, ცოდოა, შვილო, როგორ იქნება, განა მაგას არა ჰყავს დედა! ხომ უნდა იტიროს იმან თავის შვილზედ!

მე სულგანაბული ყურს ვუგდებდი და მიამა, რომ გავიგონე ერთადერთი სიტყვა ჩვენის შებრალებისა. მე კიდევ მინდოდა ყური მეგდო, მაგრამ დედაჩემი დაბრუნებულიყო, მოირბინა და მითხრა:

— ჰაი, შე ბრიყვო, გჯერა, რასაც ეგენი ამბობენ? რას უყურებ იქა? წავიდეთ ჩქარა, მომყე! ეგენი წავლენ, ასწავლიან მონადირეს ჩვენს ბინას და გამოგვასალმებინებენ სიცოცხლეს.

საბრალო დედაჩემი წინათვე ჰგრძნობდა, რომ ასე იქნებოდა.

შეკუნტრუშდა დედაჩემი, შევკუნტრუშდი მეც და გავსწიეთ ზეითკენ სკუპ-სკუპით. სულ ბოლო დროს მხოლოდ ესღა გავიგონე: „უი, დედაც იქა ჰყოლიაო!“

შევუდექით შაბიანს, ბუერიანს ფერდობს. ბუერის ძირები ცივის წყაროებით იყო მორწყული. აქა-იქ ლაფზე ეტყობოდა ჩემსავებ პატარა ნუკრის ნაფეხურები. საშინლად ცხელოდა. ვსწუხდით. დავწექით ბუერებში. იმისი განიერი ფოთლები არ გვაკარებდნენ მწვავე მზის სხივებს. უცებ გარშემო შემორტყმულ მთების წვერებიდან ამოცვივდენ ღრუბლები, შეიყარნენ ერთად. ცამ დაიგრიალა, იჭექა, ელვა გაიკლაკნა.

წვიმა სვეტ-სვეტად ჩამოდგა გაღმა სერებზე, მალე ჩვენს გარემოშიც ხის ფოთლებსა და ნამეტნავად ბუერებზე დიწყო ტლაშა-ტლუში. ისეთი ხმაურობა დადგა, თითქოს ტყე და მთა-ბარი იქცეოდა. ყველა სულდგმულმა ხმა გაკმინდა· ჩიტები ვეღარ ჰბედავდნენ ჭიკჭიკს, ცელქობას... საძაგელი ჩხიკვი, რომელიც ისე მაშინებდა წინად, ეხლა სრულებით არ მეჩვენა ისე საზარელი; დამჯდარიყო წიფლის მიკლაკზე, მიეხუჭა თვალები და ნისკარტიდამ ცინგლი ჩამოსდიოდა, ფრთები საცოდავად ჩამოეშვა. იმის ახლოს იჯდა გულწითელი ჩიტი, „წიფლის-ჩიტა“, უწყინარი უვნებელი, ღაბუა. მშვენივრად მოეხუჭა თვალები, მოფრინდა „წრიპინა“ და „წრიპ, წრიპ!“ შესძახა. ჩხიკვს შეეშინდა, გაახილა თვალები, გაუსკდა გული. მიასკდა ხან იქით, ხან აქეთ, უშნო „ჩხიი, ჩხის!“ ძახილით. მე გამეცინა. წინათ ყველაზე ღონიერი ის მეგონა, ეხლა კი გავიგე, რაც შვილი ბრძანებულა.

გადაიქუხა. ჩიტებმა მორთეს ერთხმად სიმღერა, ბალახებმა და ხის ფოთლებმა სიხარულის ცრემლს დაუწყეს ფრქვევა. დედაჩემმა ნაწვიმზე სიარული უყვარდა... წავიდოდა ველად და მეც თან გამიყოლიებდა. ეხლაც წავედით, შევუდექით ველის პირებს, გავსწიეთ მთისკენ. ტკბილი ხმა ისმოდა სალამურისა, მთის ძირზე გაშლილიყო ცხვარი და ტკბილად სძოვდა ახლად დანამულს ბალახს. მზე გორის პირას იყო ჩამალული ნახევრამდე. იმისი მკრთალი სხივები მხოლოდ მთებისა და ტყის წვერებს ეთხოვებოდა.

გორის პირზე ზევით მხრივ იჯდა ნაბადწამოსხმული მეცხვარე და შეექცეოდა სალამურს. იმის გვერდით წამოყუნტებულიყო ბანჯღვლიანი საზარელი შესახედავი ძაღლი; ცოცხლად აყოლებდა თვალებს ცხვრის ფარასა და ხანდახან აჩერდებოდა ალერსიანად თავის პატრონს.

— ცუდს ადგილას მოვედითო, — მითხრა დედაჩემმა, — მეცხვარე უიარაღოა, იმისი ნუ შეგეშინდება, მაგრამ ის ძაღლი დაიყრის ჩვენს სუნს, და იქნება გამოგვეკიდოსო. მობრუნდი უკან, თვალი გეჭიროს: თუ ჩვენსკენ გამოიქცა, მე დავენახვები და შენ ბალახებში ჩაიმალეო. — ჩვენს დანახვაზე ცხვარი წაფრთხა და დაიწყო ჩვენკენ ყურება. მე ხშირსა და დაბურულს არჯაკელის გროვაში ჩავიმალე და არ ვაშორებდი თვალს იმ კუდბუთქვა ძაღლს... ცხვრის დაფრთხობა და ძაღლის წკმუტუნი ერთი იყო. სცქვიტა ყურები და გამოექანა ჩემკენ...

მეცხვარემ დაგვცა კივილი. მე ავკანკალდი. დედაჩემს შეასწრო თვალი და გაექანა იმისკენ. დედაჩემი გასრიალდა და ერთს წამს დამეკარგა თვალიდამ, ცრემლი მომერია, გული მომიკვდა; ვაიმე, დედავ, თუ დაგიჭიროს მაგ წყეულმა! დიდი ხანი მესმოდა ბრაგა ბრუგი და ხევიდამ ქვების ჩხრიალი.

ვაიმე, თუ დაიჭირა დედაჩემი და თავის ალმასის კბილებით სწეწს! დაბინდდა. მეცხვარემ მოუსტვინა ცხვარს და შეაყოლა ბინისაკენ! გულის ფანცქალით ვადევნებდი თვალს იმის მოძრაობას. საწყალს ცხვრებს სცემდა ზოგს დიდის კომბლით და ზოგს ქვებს ესროდა. ერთს პატარა ჩემოდენა ბატკანს მიარტყა ქვა, საბრალო წაიქცა და საცოდავად დაიწყო ფეხების ქნევა, მეცხვარე ავიდა ზევით და დაუწყო ძახილი „ყურშიას“. ცოტახანს შემდეგ ცის ტატანზე[1] დავინახე, რომ იმისი ყურშია, წითელენაგადმოგდებული, ედგა პატრონს გვერდით.

მე მეშინოდა: ვინ იცის, ჩემი დედის სისხლით აქვს-მეთქი გამურული ლაშ-პირი. დაბნელდა, დაუკუნეთდა. ხმაურობა აღარსაიდამ ისმოდა. რა იქნა დედაჩემი? იქნება ვეღარ მიპოვოს, თუ ცოცხალია? ცოტა ხანს შემდეგ ხავილი შემომესმა. დედაჩემის ხმასა ჰგავდა. მეც გავეხმაურე. საბრალო აფორიაქებული მოიჭრა ჩემთან.

— აქა ხარ, შვილო? ნუ გეშინიან, შენი დედა ცოცხალია. ძაღლი და მგელი ვერაფერს დააკლებენ... ცოცხალი ხარო? — მკითხავდა.

— ცოცხალი ვარ, — ვუპასუხე მე.

მიალერსა დედამ... ნეტა ვის შევტირო, ვის შევეხვეწო, ვინ არის ისეთი ძალუმი, რომ დედაჩემის თვალებში ჩამახედოს, დამატკბოს იმის ალერსით!

როგორ უნდა მოვინელო ეს ჯავრი? ნეტა სისხლის მსმელს მტერს მეც მოვეკალი! რისთვის დავრჩი მე ცოცხალი?!

წინადღეს ცოცხალს, მშვენებით სავსე ჩემს ნუგეშს შევსტრფოდი, და რა მომაგონებდა, თუ მეორე დღეს დამეკარგებოდა სამუდამოდ!

მთელი ღამე დავდიოდით ველზე. აღარ გვეშინოდა; გავედით სვილში და ტკბილად შევექცეოდით. თენება დაიწყო, მივიქეცით ტყეში. წყეული იყოს იმ დღის გათენება! ველზედ სქლად იწვა ბალახი. ველში იდგა ორი-სამი ძირი ბალი; ჯგუფ-ჯგუფად ეხვეოდნენ ჩიტები, შაშვები; ჟივილ-ხივილი ისმოდა. ზოგნი მოდიოდნენ და ზოგნი მიდიოდნენ. მიეზიდებოდნენ შვილებისთვის საზრდოს. დედამ გამაფრთხილა და მითხრა: საშიშია ამ დროს სიარული, ჩვენი მტერი ნაწვიმზე დაგვეძებს, აქეთ-იქით თვალი გეჭიროსო.

ეს იყო უკანასკნელი გაფრთხილება დედიჩემისაგან. დედაჩემი სწუხდა, თითქოს სიკვდილსა ჰგრძნობდა. მოჰკვნეტდა ერთს ფოთოლს და გაუყურებდებოდა.

ჩვენს ზევით იყო დგნალები, ერთმანეთზე მიწყობით ამოსული, იმათ წინ იდგა სამი თუ ოთხი შეკუმშული და აწეწწეტებული არყი.

უცებ, როგორც ცის ჭექამ, იგრიალა თოფმა, იმის ხმამ დაიარა მთები და კლდეები. ხის ფოთლებმა და მცენარეებმა კანკალი დაიწყეს, ბოლი გაერთხა ნამიანს ბალახზე. დედაჩემმა ერთი კი ამოიკვნესა და წაიქცა. ვაიმე! მე იქვე გავისხიპე. დედაჩემი მიგორავდა, ვხედავდი, თავქვე და სისხლიანს კვალს სტოვებდა ბალახზე. არყების უკანიდამ გამოხტა ახალგაზრდა ბიჭი, ლეგა ჩოხის კალთები აეკვალთა. „გაუმარჯოსო!“ დაიძახა და სასწრაფოს წკრიალით გამოეკიდა დედაჩემს უკან. საწყალი დედაჩემი ცდილობდა ადგომას, წამოიწევდა ხოლმე, მაგრამ ისევ ჩაიხვეოდა მუხლებში, დაეცემოდა და გაგორდებოდა. მე მოვკვდი, ტანში დავიმალე, როდესაც შეჩვენებულმა მონადირემ ამოიძრო პრიალა ხანჯალი და გამოუსვა დედას ყელში. სისხლმა იფეთქა და გადაეწწყია ხეებზე. ვაჰმე! სულ ცხადად ვხედავდი, მაგრამ რითი ვუშველიდი მე, საცოდავი?! აგერ ძუძუებზე. იმ ძუძუებზედ, რომლებსაც მე ვწოვდი, დაუსო ხანჯალი და გამოშეშხა, შეიდო კისერზე და გასწია. მე დავიწყე ტირილი და გული შემიწუხდა. მას აქეთ ცოცხალმკვდარი ვარ; ვტირი და ეს არის ჩემი ნუგეში; დავდივარ და შევსტირი ხეებს, მთასა და კლდეებს, დავსტირი წყალსა და ბალახს, მაგრამ ჩემთვის დედა არა ჩნდება. დედაჩემს ვეღარა ვხედავ, ვარ ობოლი და, ვინ იცის, ვინ დამეპატრონება, ვინ შეიღებავს ჩემის სისხლით ხელებს?!

[1] ჰორიზონტის [illegible] ხაზი

ყოფილი ემიგრანტის მოგონება

ვინ იყო?..

ძველი წელიწადი იწურება, მოდის ახალი. დიდი თუ პატარა, ღარიბი თუ მდიდარი, ბედნიერი და ბედუკუღმართი — სიხარულითა და ზეიმით ხვდება ახალს. ძველი არავის ენანება, ისე მიდის, გზას არავინ ულოცავს, მიდის და მოგონებადა გვრჩება...

1930 წელი, 31 დეკემბერი, საღამო პარიზში.

ექვსიოდე ახალგაზრდა ქართველმა თავი ერთ უბრალო ყავახანაში მოვიყარეთ. იაფფასიან შავ ყავას შევექცევით. ვდუმვართ. სევდით შეპყრობილთ ერთმანეთის შეხედვაც გვეჯავრის...

განა შეიძლება კაცმა ისეთ ულამაზეს ქალაქში, როგორიც პარიზია, მოიწყინოს, და ისიც, როდის, ახალი წლის დამდეგს? პარიზზე უფრო ლამაზი ქალაქი, აბა, სად არის?

არის, როგორ არ არის! ჩვენ უფრო ლამაზი ქალაქი ხატად გვიხატია გულში... ის ჩვენია, მაგრამ შორს არის, მიუწვდომელია. თითქოს იმ ქალაქის ახალი წლის ღამეს ვხვდებით ახლა პარიზში.

— ეჰ, ჩვენებმა ნაძვისხე მორთეს ალბათ უკვე, პატარებს არ სძინავთ, ელოდებიან, — ამბობს ნიკო.

— ნაძვისხე აქაც არის, შენ ჩიჩილაკი მითხარი, ჩიჩილაკი! — ქოქოლებს გიორგი.

— ჩიჩილაკი, ღომი და სულუგუნი, არა? — დასძენს ბადური.

— მოლხინით უხვად შეკაზმული სავიცი? არ დაგავიწყდეთ, — ისევ ერევა საუბარში ნიკო.

— გეყოთ, რა, ნერწყვი მომადგა პირზე, — ბრაზობს ირაკლი.

ისევ სიჩუმე, ისევ სევდა...

— ბიჭებო, ყავახანის პატრონი რაღაც ალმაცერად გვიყურებს, ერთ ჭიქა შავ ყავას ორი საათია ვუზივართ. წავიდეთ, საახალწლოდ მორთული პარიზი შევათვალიეროთ. — ვთავაზობ ამხანაგებს.

სწორედ ამ დროს ყავახანაში გურული ფირალივით შემოიჭრა ტარიელი.

— ტარიელს გაუმარჯოს!... ტარიელს!..

საოცარი ვინმეა ეს ტარიელი. დღეს მდიდარია, ხვალ ღატაკი, ზეგ ისევ მდიდარი. ფული თითქოს თვითონ მორბის მისკენ, მაგრამ ასევე სწრაფად უდნება ხელში. როცა უფულოდ რჩება, დაიკარგება ხოლმე. სანთლით რომ ეძებო, ვერ იპოვი. წელს მოიმაგრებს და მყისვე გამოჩნდება.

როდესაც უანგარო ფლანგვას ვუსაყვედურებთ, ბავშვივით იცინის: აკი ვამბობთ ქართველები, ფული ხელის ჭუჭყიაო.

— ბიჭებო, „შეჰერაზადაში" მაგიდა შევუკვეთე, ახალ წელიწადს ვაჟკაცურად, ქართველურად შევხვდეთ — მოგვახარა შემოსვლისთანავე, ყავახანიდან გამოგვყარა და მანქანებით პარიზის ერთ-ერთ საუკეთესო რესტორნისაკენ გაგვაქანა.

საღამოს 10 საათი იქნებოდა, საზეიმოდ განათებულ რესტორანში რომ შევედით. ტარიელმა ვახშამი შეუკვეთა და თან დააყოლა, ბონის მონასტრის ღვინო მოგვიტანეთო.

მახლობელ მაგიდაზე ერთი ხნიერი კაცი იჯდა, გვერდით ლამაზი ქალი მოესვა და ეჭიკჭიკებოდა. კაცმა რამდენჯერმე გადმოგვხედა.

შევნაყრდით. დავლიეთ. ღვინო ცოტათი თავში აგვივარდა. ჩვენი მეზობელი კვლავ გვიცქერის, მაგრამ ყურადღებას ვინ აქცევს.

— ახალი წელიწადი! გაუმარჯოს ახალ წელიწადს!... — გაისმა დარბაზში. სხვადასხვა ფერად განათდა დარბაზი. ატყდა შამპანურების ბათქა-ბუთქი...

გავმხიარულდით, მხოლოდ ირაკლი იჯდა მოწყენილი.

— ირაკლი! წავიდეთ, იმ ინგლისელებს დამები წავართვათ და ვაცეკვოთ, ხომ ხედავ, როგორ მოგვჩერებიან ქალბატონები, — ეუბნება ტარიელი.

ირაკლიმ თავი ასწია. ტარიელს შეხედა და თავისი საამური ხმით ჩაიღიღინა:

—მე ამ ცეკვას არ ვაკადრებ
ინდაურს.
ვენაცვალე ჩვენს ჯიგრიან
კინტაურს...

ნიკო ესტრადისაკენ გადახტა. ერთ მუსიკოსს გიტარა გამოსტაცა და მართლაც რომ ჯიგრიანი კინტაური დაუკრა. მაგიდა დოლად ვაქციეთ და ტარიელმა კინტაური დაუარა.

რესტორანი გაყუჩდა. ყველა მოცეკვავეს შესცქეროდა. კინტაურის დამთავრებისთანავე ირაკლიმ წამოიწყო:

„სამშობლო, სამშობლო, ჩემო ლამაზო"...

ბევრჯერ მსმენია ეს სიმღერა, მაგრამ ისე ტკბილი, ისე წარმტაცი, როგორც იმ საღამოს — არასოდეს.

ატყდა ტაში, ვაშა, ყიჟინა.

რატომღაც მეზობელი მაგიდისაკენ მივიხედე და დავინახე, როგორ იცრემლებოდა ის ხნიერი კაცი...

ცოტა ხნის შემდეგ ტარიელმა ანგარიში მოითხოვა.

„შეჰერაზადას" დირექტორი მოვიდა და გვითხრა: — ანგარიში გასწორებულია. მუსიომ, რომელმაც თქვენი დანახარჯი გადაიხადა, მთხოვა, ეს ბარათი თქვენთვის გადმომეცაო და ტარიელს კონვერტი ჩააბარა.

ტარიელი აიფხორა. იუკადრისა. მაგრამ გადავწყვიტეთ, ჯერ წერილი წაგვეკითხა. აი რა ეწერა ქართულად დაწერილ იმ ბარათში:

„ყმაწვილებო! 40 წელიწადია, პირველად განვიცადე ქართული სიტყვის მოსმენის ბედნიერება, რომელიც 17 წლისამ დავკარგე. მამაზე განაწყენებულმა სამშობლო დავტოვე და უცხოეთში გადმოვიხვეწე. სიმდიდრე მაქვს, ჯანმრთელიც ვარ, მაგრამ უბედური ვარ, რადგან დავკარგე სამშობლო, ჩემი თბილისი.

მაპატიეთ, თვითონაც არ ვიცი, რასა ვჯღაბნი, ისე ვარ აღელვებული.

მრავალჟამიერ იცოცხლეთ, ყმაწვილებო! ბევრჯერ გაგთენებოდეთ ბედნიერი ახალი წელიწადი!"

...მას შემდეგ თითქმის ორმოცმა წელიწადმა განვლო. ყოველი ახალი წლის ღამეს ის კაცი მაგონდება.

ვინ იყო?..

გიორგი გეგელია

ჩვენი კალენდარი

დადგა ახალი წელიწადი და საწერ მაგიდაზე ახალი კალენდარი გაჩნდა. ცნობისმოყვარეობა გძლევს და ფურცლავ კალენდარს. იანვარი, თებერვალი, მარტი... მიჰყვები ასე და ვერც კი ამჩნევ, თუ როგორ გადაშალე დეკემბრის უკანასკნელი დღე. შემდეგ ისევ უკან ფურცლავ და გიხარია, 1970 რამდენ საზეიმო დღესთან შეხვედრას გპირდება, რამდენი მნიშვნელოვანი იუბილე აღინიშნება ამ წლის მანძილზე.

ამჯერად მკითხველს ქართული კალენდრის ერთი თვის — იანვრის ღირსშესანიშნავ მოვლენებს გავაცნობთ.

იანვარი

● 14 იანვარი ქართული თეატრის დღეა. 120 წლის წინათ გიორგი ერისთავის თაოსნობით დაარსდა ქართული რეალისტური თეატრი. ქართული თეატრი, რომლის წარმომადგენლებს ახლა მთელ მსოფლიოში იცნობენ, იუბილეს პირნათლად ხვდება.

● 15 იანვარს დაბადების 90 წლისთავი უსრულდება გამოჩენილ ქართველ რევოლუციონერს, აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის ერთ-ერთ ხელმძღვანელს ალიოშა ჯაფარიძეს.

● 60 წლის წინათ, 1910 წლის 18 იანვარს, ქართულ და რუსულ ენებზე გამოვიდა პირველი ნომერი არალეგალური ბოლშევიკური გაზეთისა „თბილისის პროლეტარი".

● 20 იანვარს სრულდება 125 წელიწადი ქართველი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის, ქართული უნივერსიტეტის შენობის ამგების ნიკო ცხვედაძის დაბადებიდან.

● 21 იანვარი მსოფლიოს ყველა კეთილი ნების ადამიანისათვის ბევრის მთქმელია. 1924 წელს შეწყდა ყველაზე ადამიანური ადამიანის ვლადიმერ ლენინის სიცოცხლე.

● 24 იანვარს სრულდება 80 წელი მას შემდეგ, რაც მკითხველმა ჟურნალ „ჯეჯილის" პირველი ნომერი მიიღო, ხოლო 29 იანვარს — 65 წელი ქართველ სოციალ-დემოკრატთა ორგანოს ჟურნალ „მოგზაურის" გამოსვლიდან.

ნარკვევები საუკეთესო ადამიანებზე



ძმათა ნამუხლარზე



1923 წლის ზაფხული იყო. საქართველოს გეოფიზიკური ობსერვატორიის მეცნიერ თანამშრომლები პროფესორ ალექსანდრე დიდებულიძის ხელმძღვანელობით მყინვარწვერისაკენ მიემართებოდნენ. რა იქნება, მთის ყვავილოვან ზონამდე მაინც ავიდე, — ფიქრობდა ექსპედიციის ყველაზე უმცროსი წევრი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტი ალექსანდრა ჯაფარიძე.

ექსპედიციამ „შავარდნის ბუდეს" მიაღწია. ძირს დარჩა მთის ყვავილოვანი ზონა და ქულა ღრუბლები. მყინვარებიდან შემაძრწუნებელი გუგუნი ისმოდა, ალექსანდრა კი ზომავდა ჰაერის წნევას, სინესტეს, სითბოს. დილის 5 საათზე მყინვარწვერისაკენ ათნი მიაბიჯებდნენ. იქ, სადაც ფეხით გავლა შეუძლებელი იყო, ხოხვით მიიწევდნენ. შუადღისას ექსპედიციის წევრებმა მყინვარწვერზე მეტეოროლოგიური ჯიხური დადგეს. ეს იყო პირველი საბჭოთა ლაშქრობა მყინვარწვერზე (გიორგი ნიკოლაძის ჯგუფთან ერთად), რომელმაც საფუძველი ჩაუყარა მთამსვლელობას ჩვენს ქვეყანაში.

სამეცნიერო ექსპედიციის მონაწილეები იმავე დღეს დაბრუნდნენ მთიდან. ალექსანდრას, მყინვართა პირველ დედოფალს, თავზე ველური ყვავილების გვირგვინი დაადგეს. მთების სილამაზით მოხიბლულმა ქალიშვილმა მტკიცედ გადაწყვიტა —ფიზიკა-მათემატიკოსის პროფესიისათვის ალპინისტობა შეეთავსებინა. სულ დაავიწყა, რომ ქალად იყო დაბადებული, შავი ხუჭუჭა თმა ნაბდის ქუდში შემალა, სპორტული ტანსაცმელი გადაიცვა და მთებს შეეხიზნა.

სულ მალე მამაცი ქართველი ქალის გზას მისი ძმა სიმონიც გაჰყვა. მან წარმატებით დალაშქრა კავკასიონის რამდენიმე მწვერვალი და მდიდარი გეოლოგიური მასალა დააგროვა. საუბედუროდ, სიმონ ჯაფარიძეს 33 წლის ასაკში მთაზე უდროოდ შემოაღამდა...

ჯაფარიძეებს თითქოს გვარში მოსდგამთ მთებისადმი სიყვარული. ალექსანდრას ახლა უმცროსი ძმა ალიოშა ამოუდგა მხარში. 1930 წლის ზაფხულში თეთნულდზე ლითონის ფირფიტა აღიმართა: „კავკასიონის მწვერვალთა მესაიდუმლის, სიმონ ჯაფარიძის ხსოვნას აქ მოსული მისი და-ძმისაგან".

1932 წელს, ალექსანდრა ჯაფარიძემ ჰიდრომეტეოროლოგიური მიზნით მოიარა მესტიის, თოთისა და რამდენიმე უსახელო მწვერვალი, ხოლო სულ მალე მისივე ხელმძღვანელობით ორი ლაშქრობა მოეწყო — ერთი მყინვარწვერზე, ხოლო მეორე იალბუზზე.

1934 წელს ალპინისტთა პატარა ჯგუფი ალიოშა ჯაფარიძის მეთაურობით მსოფლიოში სახელგანთქმული ორთავა უშბისაკენ გაემართა. ექსპედიციაში ერთადერთი ქალი ალექსანდრა იყო. უშბაზე ასვლას ყოველი ქვეყნის გამოჩენილი ალპინისტი ნატრობდა. რადგან მისი დაპყრობით მთამსვლელს შეეძლო ინგლისის ალპური კლუბის წევრი გამხდარიყო. ამ მიზნით მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში უშბას ინგლისელი და გერმანელი ალპინისტები მოადგნენ, მაგრამ მათ შორის მწვერვალის დაპყრობის ბედნიერება მხოლოდ რჩეულთა შორის რჩეულ ვაჟკაცს ხვდა წილად. და აი, 30 წლის შემდეგ უშბის დასაპყრობად მიემართებოდა პირველი საბჭოთა ექსპედიცია და მსოფლიოში პირველად ქალი. ალექსანდრას შინ რა გააჩერებდა. ძმასთან ერთად შეება უშბას. როცა 60-65 გრადუსით დაქანებულ კლდეებზე თოკებით გადასვლა დაიწყეს, ღრმა უფსკრულებმა ვერ შეაკრთო ქალის ნაზი გული, მისი ოცნება კოშკებზე მაღალი და იმ თოვლზე წმინდა იყო.

ალპინისტების წინ 200-მეტრიანი კედელი აღიმართა, სიპი და ვერტიკალური. დიდხანს ეძებეს ზევით ასასვლელი, მაგრამ ამაოდ. ბოლოს ქალის გუმანმა გაჭრა—მან აღმოაჩინა გზა. დაბინდებისას შავ კლდეებში ალიოშამ ცეცხლი დაანთო, აბა, ვის ენახა აქამდე ცეცხლად ავარდნილი უშბა!

მეოთხე დღეს დაღლილ მთამსვლელებს მოუხერხებელ ადგილას მოუსწრო. ერთი ადამიანი თუ გაათევდა ღამეს, ისიც დამჯდარი. იძულებული იყვნენ უკან დაეხიათ. ალექსანდრამ წარბშეუხრელად მიმართა ამხანაგებს: „არა მიშავს, მე დავრჩებიო აქ გათენებამდე". ალიოშამ თოკი მაგრად გამოაბა, ქალი ნაბადში გამოახვია და კლდეზე დაჰკიდა, თვითონ კი ჯგუფთან ერთად უკან დაბრუნდა...

უშბის მწვერვალებს სავსე მთვარე გადმოადგა. მალე მას ვარსკვლავთა მაყრიონიც მოჰყვა. ეძინათ ხევებს, ადამიანებს, არ ეძინა მხოლოდ კლდეზე „მძევლად" დატოვებულ ქალს...

გათენებისას განახლდა ადამიანისა და კლდის ბრძოლა. ატყდა წერაყინების კაკუნი. კლდეზე ცოცვისაგან ტანისამოსი შემოაცვდათ და თითებზე კანი აეფცქვნათ, მაგრამ მაინც მიიწევდნენ წინ. აჰა, მწვერვალიც. უშბის დაპყრობით ალექსანდრა ჯაფარიძის სახელი ლეგენდად იქცა.

ლენინური კომკავშირის 20 წლისთავზე ხუთი კაცისაგან შემდგარმა ექსპედიციამ, რომელსაც ალექსანდრა მეთაურობდა, კავკასიონის 13 მწვერვალი გადაიარა; 1940 წელს კი ოთხ მამაკაცთან ერთად ერთ-ერთ დიდ ტრავერსში მონაწილეობდა. ჯგუფმა კავკასიონის ქედზე ოთხმოცი კილომეტრი გაიარა და ოცდაათამდე ურთულესი მწვერვალი დაიპყრო. სამშობლოსა და ხალხის უსაზღვროდ მოყვარულმა და-ძმა ჯაფარიძეებმა ახლად დაპყრობილ მწვერვალებს დიდი რუსთაველის, ილიას, აკაკის, ვაჟასა და სხვა ქართველ მოღვაწეთა სახელები დაუმკვიდრეს.

1941 წლის ზამთარში ალექსანდრა ჯაფარიძე ქალთა I სათხილამურო ასვლას ხელმძღვანელობდა ალაგიოზზე.

ისევ თოვლიანი მწვერვალები. წარმატება და... თავზარდამცემი უბედურება — 1945 წლის ზამთარში ალიოშა უშბას შეება და უგზო-უკვლოდ დაიკარგა. 12 წელი ძაძით მოსილი ქართველი ქალი ძმის ნაფეხურებს ეძებდა უშბის მიდამოებში. ბოლოს, როგორც იქნა იპოვეს ალიოშას ნეშტი. სწორუპოვარი ალპინისტი დიდი პატივით დაკრძალეს თბილისში, მისივე სახელობის ალპური კლუბის ეზოში.

1944 წლიდან ალექსანდრა თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში სათავეში უდგას მოზარდი თაობის სპორტულ დაოსტატებას. 20 წლის მანძილზე მან ბევრი ცნობილი ალპინისტი აღზარდა.


ალექსანდრა ჯაფარიძის სპორტული მოღვაწეობა დიდად არის დაფასებული. იგი რამდენჯერმე იყო არჩეული თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატად, დაჯილდოებულია ორდენითა და მედლებით, სპორტის დამსახურებული ოსტატი და საკავშირო კატეგორიის მსაჯია.

ახლა თოვს მთებზე. ალექსანდრას თმასაც ჩამოათოვა. ვერ გეტყვით, რომელი უფრო თეთრია და სპეტაკი. დღეს ეს ქალი საბჭოთა ალპინიზმის ნახევარსაუკუნოვან კარიბჭესთან დგას და გზას ულოცავს მთებისაკენ აფრენილ არწივებს.

ჟუჟუნა ნეფარიძე

- ქართულმა ჩოგნებმა დაიპყრეს აზია!
- ქართველ ფეხბურთელებს ასახელებენ უძლიერესთა ჯგუფში.
- გუხუტი გურგენიძე — ქართველი საერთაშორისო დიდოსტატი!
- ოქროს მედლები — მსაჯებს!
- 10 საუკეთესო სპორტსმენი.
- კიდევ ერთი გამარჯვება საერთაშორისო სპორტულ ასპარეზზე!





ტურნირის პრიზიორები მიხეილ ტალი და ბუხუტი გურგენიძე. ალექსანდრე კავკასიძის ფოტოები.

სპორტი

ჭადრაკი ტრიუმფი

ყოველწლიური საჭადრაკო კალენდარი სულ უფრო და უფრო „მჭიდროვდება“. შეჯიბრებათა შორის არავითარი „სარკმელი“ აღარ რჩება. უფრო მეტიც — თითქმის მუდმივად საერთაშორისო ტურნირები ერთმანეთს სტაცებენ მონაწილეებს — ერთროულად რამდენიმე შეჯიბრება მიმდინარეობს. ამ ტურნირებს საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაცია რამდენიმე კატეგორიად ჰყოფს. ამასთან მხოლოდ უმაღლესი კატეგორიის ტურნირებს აქვთ უფლება დაუწესონ საერთაშორისო დიდოსტატის წოდებისათვის საჭირო ქულათა ნორმა.

შარშან სხვადასხვა ქვეყანაში რამდენიმე ასეთი უმაღლესი კატეგორიის შეჯიბრება მოეწყო და ვერც ერთმა დიდოსტატობის მაძიებელმა ვერ შეძლო მიეღწია საწადელისათვის. ქართველი მოჭადრაკე ბუხუტი გურგენიძე ერთადერთი აღმოჩნდა მრავალთა შორის.

ბუხუტის მკაცრი „ოპონენტები“ ჰყავდა: მსოფლიოს ექს-ჩემპიონი მიხეილ ტალი, მსოფლიოს ჩემპიონობის ყოფილი პრეტენდენტი დავით ბრონშტეინი, თანამედროვეობის ერთ-ერთი უძლიერესი მოჭადრაკე ვლასტიმილ ჰორტი, ცნობილი დიდოსტატები ალექსი სუეტინი, რატმირ ხოლმოვი, ლეონიდ შამკოვიჩი, ედუარდ გუფელდი და ანატოლ ლეინი. რა თქმა უნდა, თამაში არც საერთაშორისო ოსტატებთან და ოსტატებთან იყო აღვილი. 10 ქულა 15 შესაძლებლიდან — აი ქულათა ნორმა, რომლის მოგროვება გურგენიძეს დიდოსტატის წოდებას ანიჭებდა.

გურგენიძემ ბრწყინვალედ ჩააბარა ეს უძნელესი გამოცდა. 8 დიდოსტატისაგან მან ოთხს სძლია — ტალს, ხოლმოვს, გუფელდსა და ლეინს! საბოლოო ანგარიშით მან ნახევარი ქულით გადაეჭარბა ნორმას და პირველ-მეორე ადგილები გაიყო მიხეილ ტალთან.

თავი რომ დავანებოთ წმინდა სპორტულ შედეგებს, გურგენიძე დიდოსტატობას იმსახურებს, უპირველეს ყოვლისა, თავისი შემოქმედებით. შეჯიბრების დამთავრებისთანავე მან გამოჰყო სანში მოგებული პარტია: ლეინთან, ხოლმოვთან და ბულგარეთის ჩემპიონ ნიკოლა სპირიდონოვთან. რა მოსდა ამ პარტიებში?! ლეინი განსაკუთრებით საშიშია, როდესაც თეთრებით თამაშობს. ამის მიუხედავად, მოსკოველმა დიდოსტატმა დებიუტში ვერ მიიღო უპირატესობა. შუა თამაშში ქართველმა მოჭადრაკემ გადააჯგუფა ფიგურები და დაიწყო იერიში, რომელიც ბრწყინვალედ წარმართა. ხოლმოვთან შეხვედრა ცოტა სხვაგვარ ხასიათს ატარებდა. დებიუტიდან გამოსვლისთანავე ხოლმოვს მცირე შეცდომა მოუვიდა, რაც გურგენიძემ პირდაპირ ვირტუოზულად გამოიყენა. ორი ხარისხის შეწირვა, რომელიც პრაქტიკაში ფრიად იშვიათად გვხვდება, საუცხოო შთაბეჭდილებას ტოვებს. სპირიდონოვი, თუმცა თეთრებით იბრძოდა, თავიდანვე „რკინის მარწუხში“ მოექცა. ბულგარეთის ჩემპიონი ბევრს ეცადა, მაგრამ ვერ იქნა და ვერ დააღწია თავი ამ „მარწუხს“.

ყოველი ახალი სვლის შემდეგ თეთრების ფიგურებს სულ უფრო „ეხუთებოდათ სული“.

ერთი სიტყვით, საჭადრაკო სამყაროს ახალი, ღირსეული დიდოსტატი ჰყავს. ამ წოდებას გურგენიძე მიიღებს სექტემბერში, როდესაც ფიდეს მორიგი კონგრესი გაიმართება.

ამას წინათ გურგენიძემ მიიღო კიდევ ერთი წოდება — საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი გახდა. ეს არის ღირსეული ჯილდო მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს მოჭადრაკე ნანა ალექსანდრიასთან ფრიად ნაყოფიერი მუშაობისათვის.

ვიქტორ გოგლიძის მემორიალი ჩინებულად წარმართა საქართველოს ახალგაზრდა ჩემპიონმა რომან ჯინჯიხაშვილმა. მან გადააჭარბა საერთაშორისო ოსტატის წოდებისათვის საჭირო ქულათა ნორმას (8 ქულა მოაგროვა). ჯინჯიხაშვილი ბრწყინვალე მონაცემების მოჭადრაკეა და მისგან მომავალში დიდ წარმატებებს უნდა ველოდოთ.

ახლა კი რამდენიმე სიტყვა თბილისელთა საყვარელ სტუმარზე — მიხეილ ტალზე. სულ 3 კვირის შემდეგ, რაც კლინიკიდან გამოეწერა (პროფესორი სოკრატ არშბა თავისი სიტყვის ერთგული აღმოჩნდა — ტალი მალე დაუბრუნა ჭადრაკს), მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ჩაება ვიქტორ გოგლიძის მემორიალში. ტალი ტალად რჩება! მან ბწყინვალედ მოუგო ალექსი სუეტინს (ლაზიერის შეწირვით!), ნიკოლა სპირიდონოვს (ეტლის შეწირვით!) და სხვებს.

ვიქტორ გოგლიძის მემორიალი ქართული საჭადრაკო სკოლის ზეიმით დამთავრდა.

გივი გამრეკელი

ქალბატონი კარგი მსაჯობისათვის

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა იმ მსაჯებისათვის, რომლებიც „ა“ კლასის პირველი ჯგუფის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატსა და სსრ კავშირის თასის გათამაშებაში, აგრეთვე საერთაშორისო ასპარეზობაში 100 მატჩს კარგად გაუძღვებიან, დააწესა ოქროს მედლები.

ამ დღეებში ეს უმაღლესი ჯილდო გადაეცა მსაჯთა ერთ ჯგუფს, რომელთა შორის არის თბილისელი კარლო ყრუაშვილი. 80 შეხვედრის წარმატებით მსაჯობისათვის გიორგი ბაქანიძეს გადაეცა ვერცხლის მედალი.

რენა აბჟანდაძემ და ალექსანდრე მეტრეველმა აზიის უძლიერეს ჩოგბურთელთა ტიტული მოიპოვეს

კიდევ ერთი გამარჯვება იზეიმეს საერთაშორისო ასპარეზზე ჩვენი რესპუბლიკის ჩოგბურთელებმა ინდოეთში გამართულ აზიის პირველობაზე, სსრ კავშირის ჩემპიონმა ალექსანდრე მეტრეველმა ყველა მეტოქე დაჯაბნა და გამარჯვებულის კვარცხლბეკზე ავიდა.


განსაკუთრებით ამაღელვებელი გამოდგა ფინალური ასპარეზობა. ინდოელი ლალი პირველი ორი პარტიის წაგების შემდეგ კვლავ თავგამოდებით იბრძოდა და თითქმის შეუძლებელი შეძლო — ზედიზედ ორი პარტია მოიგო. თამაშის ბედი მეხუთე პარტიას უნდა გადაეწყვიტა, მეტრეველმა დაიბრუნა ინიციატივა და, როგორც უკვე აღვნიშნეთ, აზიის ჩემპიონის ტიტულს დაეპატრონა. გვასახელეს ქალებმაც. ერთეულებს შორის უძლიერესი იყო რენა აბჟანდაძე. შერეულ წყვილთა შორისაც ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა ალექსანდრე მეტრეველმა და ალა ივანოვამ გაიმარჯვეს.

ჟურნალისტების აზრით

ყოველკვირეული დამატება „ფუტბოლ-ჰოკეის“ რედაქცია ყოველი წელიწადის დამლევს აწყობს ჟურნალისტთა დიდ გამოკითხვას — დაასახელონ საუკეთესო ფეხბურთელი.

რეფერენდუმის შედეგად 1969 წლის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელეს კიევის „დინამოს“ ფეხბურთელი ვლადიმერ მუნტიანი, მეორე ადგილი მიეკუთვნა ქართველ ფეხბურთელს, სსრ კავშირის ჩემპიონის მოსკოვის „სპარტაკის“ კარის დარაჯს ანზორ კავაზაშვილს.

საინტერესოა, რომ გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღეს წინა წლების უძლიერეს ფეხბურთელებად აღიარებულმა მოთამაშეებმაც. ვალერი ვორობიოვმა დაასახელა მუნტიანი, ჰუსეინოვი და ასათიანი, ანდრეი ბიშამ — მუნტიანი, შესტერნიოვი, ხურცილავა, ხოლო ედუარდ სტრელცოვმა — მუნტიანი, ჰუსეინოვი, ასათიანი.



ასე ჰიდაობს შოთა ლომიძე. შოთა ჩხეტიანის ფოტო.


საუკეთესონი

რესპუბლიკის სპორტულმა გაზეთმა „ლელომ“ თხოვნით მიმართა მკითხველებს დაესახელებინათ 1969 წლის 10 საუკეთესო სპორტსმენი. რედაქციამ მიღებული წერილების საფუძველზე დაადგინა საქართველოში ყველაზე პოპულარულ სპორტსმენთა ათეული და მათი გვარები საახალწლო ნომერში გამოაქვეყნა. აი როგორ გამოიყურება ეს სია: ნონა გაფრინდაშვილი, ნანა ალექსანდრია, ალექსანდრე მეტრეველი, კახი ასათიანი, რომან რურუა, ომარ ფხაკაძე, შოთა ლომიძე, ვიქტორ სანაევი, დიტო შანიძე, თინა ლეკვეიშვილი. როგორც ვხედავთ, საუკეთესოთა შორის მოხვდნენ ჭადრაკის, ჩოგბურთის, ფეხბურთის, ჭიდაობის, ველოსპორტის, მძლეოსნობის, ძალოსნობისა და ცურვის წარმომადგენლები. ამაში არის თავისი კანონზომიერება, სპორტის ყველა ეს სახე ჩვენში ოდიოგანვე ძალზე პოპულარულია.



◠ მძინარე ვენახი

სანდრო მამასახლისის ფოტო



◑ ყვარლის ღვინის ქარხანა.

ომარ თერიას ფოტო



⊙ ჩვენი გამომცემლობა.

სიმონ კილაძის ფოტო

ქართული სამზარეული

ხაშლამა

ძროხის, ცხვრის ან ბატკნის ხორცი ძლიერად გარეცხეთ, დაჭერით საშუალო სიდიდის ნაჭრებად, მოათავსეთ ქვაბში, დაასხით იმდენი მდუღარე წყალი, რომ ხორცი დაიფაროს, დაახურეთ ხუფი და დადგით მოსახარშად. ხარშვისას მოხადეთ ქაფი ადუღდება თუ არა, ჩაუმატეთ ძირხვენული, ოხრახუში, ნიახური, ხახვი, რომლებიც ხარშვის დასრულებისას წვენიდან ამოიღეთ. 5 წუთით ადრე, სანამ ხარშვა დასრულდებოდეს, შეაზავეთ მარილით. მოხარშული ხორცი ქაფქირით ამოალაგეთ ლანგარზე, ზემოდან მოაყარეთ წვრილად დაჭრილი ოხრახუშის ან ნიახურის ფოთოლი და სუფრაზე მიიტანეთ ცხლად. აღნიშნული ხორცი შეიძლება მოიხარშოს უმარილოდ, როცა ლანგარზე ამოალაგებთ, მაშინვე ცხელს ზემოდან მოაყარეთ მარილი.

ხაშლამა შეიძლება სუფრაზე წვნიანად მიიტანოთ. ამ შემთხვევაში თითოეულ მათლაფაში ან ჯამში მოათავსეთ განკუთვნილი მოხარშული ხორცის საულუფე ნაჭრები, დაუმატეთ გემოვნების მიხედვით დანაყილი ნიორი, წვრილად დაჭრილი ოხრახუშისა და ნიახურის ფოთლები და დაასხით ზედ თავისი ნახარში იმდენი წვენი, რომ შიგთავსი ოდნავ დაიფაროს. ნიორი წვენს საკმაოდ უნდა ეტყობოდეს.

ხაშლამა სუფრაზე შეიძლება ასეც მიიტანოთ: 4-5 კბილი ნიორი, მარილი (გემოვნებით) კარგად დანაყეთ, გახსენით ხორცის ნახარშ გაწურულ წვენში ($1/_2$—$3/_4$ ჩაის ჭიქა) და მოასხით ლანგარზე მოთავსებულ ერთ კილოგრამ მოხარშულ ხორცს. ზემოდან მოაყარეთ წვრილად დაჭრილი ნიახურის ფოთოლი (გემოვნებით).

ბატკნის ხორცის ხაშლამის მიტანა სუფრაზე კარგია აგრეთვე ლავაშში შეხვეული, ე. ი. ნაჭრებად დახეულ თხელ ლავაშზე დაიდება ერთი-ორი ნაჭერი ხორცი და შეიხვევა.

სუკის მწვადი

მთელი სუკი გარეცხეთ, მოაშორეთ ძარღვები და ზედმეტი ცხიმი. წამოაგეთ შამფურზე მთელი სიგრძით, თავში და ბოლოში მაგრა შემოახვიეთ მსხვილი ძაფი, წაუსვით მარილი და შამფურის შეუწყვეტელი ტრიალით შეწვით ნაკვერჩხალზე. სუკი შეწვის დროს შეუწყვეტლივ იმიტომ უნდა ვატრიალოთ, რომ ყოველი მხრიდან კარგად შეიწვას და ამავე დროს შეინარჩუნოს თავისი წვენი. სუკი როგორც კი შეიწვება, მაშინვე სუფრაზე მიიტანეთ შამფურით და დაჭერით მოგრძო თხელ ნაჭრებად. სუკი ისე არ უნდა შეწვათ, რომ გამოშრეს. იგი ცვრიანი უნდა იყოს. შემწვარ სუკთან მიიტანეთ სხვადასხვა ხაწებელი, მწნილი, სეზონის მიხედვით პამიდორი, კიტრი და სხვა.

ამინდი საქართველოში

ჩვენს მკითხველებს, ალბათ, აინტერესებთ, როგორი ამინდია მოსალოდნელი ამ თვეს საქართველოში.

აი რას გვიპასუხებს ამაზე თბილისის ამინდის ბიურო: დასავლეთ საქართველოში თვის პირველ ნახევარში უმეტესად მშრალი ამინდია მოსალოდნელი, შეიძლება მოთოვოს მხოლოდ იანვრის დამლევს. ყინვა მარტო მთებში იქნება, ბარში კი 2-7 გრადუს სითბოს ვვარაუდობთ. განსაკუთრებით თბილი ამინდია მოსალოდნელი სანაპირო რაიონებში თვის პირველ დეკადაში. დღისით აქ თერმომეტრი 12-17 გრადუს სითბოს გვიჩვენებს.

რაც შეეხება აღმოსავლეთ საქართველოს, აქ ჰაერის საშუალო თვიური ტემპერატურა სამხრეთ მთებსა და უკიდურეს ჩრდილო მთიან რაიონებში მინუს 4-7 გრადუსი იქნება, ქართლის ვაკის დასავლეთ რაიონებში 0 — მინუს 2 გრადუსი, ხოლო დანარჩენ რაიონებში — 0-2 გრადუსი სითბოა მოსალოდნელი.



საგრძნობლად დაბალი იქნება ტემპერატურა ღამით მაღალმთიან რაიონებში. აქ ჰაერის მინიმალური ტემპერატურა მინუს 22-27 გრადუსამდე დაიწევს.

ნალექები წვიმის, დროგამოშვებით თოვლის სახით არის მოსალოდნელი.



ზამთრის შტრიხები

ნოდარ მალაზონიას ფოტო

მიწისძვრა საქართველოში

● 1969 წლის 31 დეკემბერს, 16 საათსა და 05 წუთზე ადგილობრივი დროით თბილისში იგრძნობოდა 3 ბალამდე ძალის მიწისძვრა. მიწისძვრის ეპიცენტრი, რომლის სიმძლავრე ხუთი ბალი იყო, მდებარეობდა ჯავახეთისა და თრიალეთის ქედების შესაყრის რაიონში მეჩხრად დასახლებულ ადგილას. 3-4 ბალის ძალის მიწისქვეშა ბიძგები იგრძნობოდა აგრეთვე ბორჯომის, ახალქალაქისა და ბოგდანოვკის რაიონებში. მიწისძვრას სახალხო მეურნეობისათვის არ მიუყენებია მატერიალური ზარალი.

1970 წლის 3 იანვარს. 10 საათსა და 54 წუთზე ადგილობრივი დროით თბილისში კვლავ აღინიშნა 4 ბალის ძალის მიწისძვრა. 7-ბალიანი ძალის ამ მიწისქვეშა ბიძგის ეპიცენტრი მდებარეობდა დაახლოებით 10 კილომეტრზე ბაკურიანის დასავლეთით. მიწისძვრა იგრძნეს ბორჯომის, ახალქალაქის, ახალციხის, გეგეჭკორის, ონის, ზუგდიდისა და მთელი რიგი სხვა დასახლებული პუნქტების მცხოვრებლებმა.

მოეწყო მომხდარი მიწისძვრის ეპიცენტრების რაიონებში დეტალური გამოკვლევა.

შემოწმდა შენობები ბორჯომში, ლიკანში, წაღვერსა და კეჩხობში. ისინი, რომლებიც აშენებულია ყველა ანტისეისმური მოთხოვნის დაცვით, არ დაზიანებულა. ცალკეულ შენობებში აღმოჩენილი დაზიანებანი, მეტ წილ შემთხვევაში, ადვილად გამოსასწორებელია.

დაგვეძებენ, მოგველიან

შოთა დავითის ძე კარსაულიძეს,

დაბადებულს 1917 წელს ეძებენ დედა — **სოფიო კარსაულიძე**, დები — **ნუნუ და მარიამ კარსაულიძეები**, მცხოვრებნი ქალაქ თბილისში, საჭიდაოს ქუჩა № 36.

კირილე ალექსანდრეს ძე ოჩიგავას,

დაბადებულს 1911 წელს ცხაკაიას რაიონის სოფელ გეჭეთში, ეძებენ მეუღლე — **ნუშა პლატონის ასული მაკალათია**, შვილები — **ალიოშა და მალინა ოჩიგავები**, მცხოვრებნი სოხუმში, ინდუსტრიის ქუჩა № 110.

ალექსანდრე (ალიოშა) ალექსანდრეს ძე იმედაშვილს,

დაბადებულს 1919 წელს ყვარლის რაიონის სოფელ გავაზში, ეძებენ ძმა — **ილია ალექსანდრეს ძე** და ბიძა — **დავით ილიას ძე იმედაშვილები.**

იროდიონ (ილიკო) სოლომონის ძე ბოჟორიშვილს,

დაბადებულს 1900 წელს ამბროლაურის რაიონის სოფელ თხმორში, ეძებენ მეუღლე — **ნინო**, შვილები — **გიორგი, გურამ და თამარ ბოჟორიშვილები**, მცხოვრებნი თბილისში, შაუმიანის ქუჩა № 4.

აბრამ ივანეს ძე შიომღვდლიშვილს,

დაბადებულს 1924 წელს ახმეტის რაიონის სოფელ მატანში, ეძებს ძმა — **უშანგ ივანეს ძე შიომღვდლიშვილი**, მცხოვრები ქალაქ თელავში, ნადიკვრის ქუჩა № 5.

ტრიფონ ელიზბარის ძე ჩიქოვანს,

დაბადებულს 1912 წელს ცხაკაიას რაიონის სოფელ თეკლათში, ეძებენ მეუღლე — **ნათელა ჩიქოვან-ყურაშვილი**, შვილი — **კარლო ჩიქოვანი.**

ვასილ ილიას ძე ჯავშანაშვილს,

დაბადებულს 1919 წელს გურჯაანის რაიონის სოფელ გურჯაანში, ეძებენ დები — **თამარ და მანია**, ძმა — **ჯიბო ჯავშანაშვილები**, მცხოვრებნი ქალაქ გურჯაანში, ლენინის ქუჩა № 3.

აკაკი ლეონტის ძე ჯიბლაძეს,

დაბადებულს 1921 წელს ლანჩხუთის რაიონის სოფელ შუხუთში, ეძებს და — **მარიამ ლეონტის ასული ჯიბლაძე**, მცხოვრები თბილისში, აკაკი წერეთლის გამზირი № 55.

რედაქციისაგან

გაზეთ „სამშობლოს" რედაქცია მადლობას უხდის საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის დირექციასა და სტამბის მუშებს გაზეთის პოლიგრაფიული სრულყოფისათვის შარშან გაწეული შრომის გამო.



მხიარულ გუნებაზე

რანგის მიხედვით

— ცოტა ხნით ვერ გამათავისუფლებთ? — წასჩურჩულა განყოფილების უფროსის მოადგილეს თანამშრომელმა.

— რა არის?

— კინოში მინდა წავიდე.

— შე კაი კაცო, რაღა სამუშაო დროს მოგინდა წასვლა?! საღამოს გინახა...

— საღამოობით ბილეთის აღება ძნელია. დეტექტიური ფილმიაო და, ხალხი ბუზივით ეხვევა, დილით კი თავისუფლებაა. ცოლი დაბარებული მყავს; შევალთ, ვნახავთ და სამიოდე საათის შემდეგ აქ დავბრუნდებით.

— [illegible] საათი რა ამბავია?!

— [illegible] ფილმია.

— არ გამაგონო! მე, როგორც მოადგილე, მხოლოდ ერთ სერიაზე გათავისუფლებთ!

გურამ შარაშიძე

რედაქტორის მაგიერ

ვასილ მჭედლიშვილი

[illegible]: გაზეთ „სამშობლოს" რედაქცია — თბილისი, რუსთაველის გამზირი № 42. ტელეფონები: 93-68-44, 93-56-25.
[illegible] კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება — თბილისი, გიორგი ათონელის ქუჩა № 2